ახალგაზრდებზე ორიენტირებული მუნიციპალური მომსახურებები და მისი გამოწვევები:

შიდა ქართლი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და სამცხე-ჯავახეთი

Funded by
the European Union

Open
Government
Partnership

GIP

ავტორების შესახებ

ნინო ჯიბუტი, აქვს განვითარების პროექტებში 10 წლიანი გამოცდილება. მისი ინტერესის სფეროებია კარგი მმართველობა, სამოქალაქო აქტივიზმი, სოფლის განვითარების პოლიტიკა და მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერება. ნინომ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების სტიპენდიის პროგრამის ფარგლებში ჩაატარა კვლევა ახალგაზრდების შიდა მიგრაციასა და ახალგაზრდულ სამოქალაქო აქტივიზმს შესახებ. ნინომ მიიღო ბაკალავრის ხარისხი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ), ორმხრივი გაცვლითი სტიპენდიის პროგრამის მეშვეობით მან ერთი სასწავლო წელი გაატარა პრაღაში, ჩარლზის უნივერსიტეტში. ნინომ მიიღო ევროპის მაგისტრის ხარისხი სოციალურ პოლიტიკაში.

საღომე კანდელაკი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი. სალომე „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ პოლიტიკის ანალიტიკოსია. მისი ინტერესის სფეროში შედის პოლიტიკის შედარებითი ანალიზი აქცენტით რელიგიასა და პოლიტიკაზე, რეგიონალიზაციასა და დემოკრატიზაციაზე. მან მაგისტრის ხარისხი პოლიტიკის მეცნიერებებში შედარებითი პოლიტიკის სპეციალობით მოიპოვა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (ბუდაპეშტი). მაგისტრის მეორე ხარისხი მას მიენიჭა საჯარო მმართველობაში გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის (შპაიერი) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროგრამის ფარგლებში.

გვანცა იჩქითი არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) პროექტის კოორდინატორი. ის ფლობს შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო ადმინისტრირების საერთო პროგრამის მაგისტრის ხარისხს. პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრიატზე სწავლის დროს, მან აკადემიური სემესტრი გაატარა პრაღის ჩარლზის უნივერსიტეტში (ჩეხეთის რესპუბლიკა). გვანცას სამუშაო გამოცდილება აქვს როგორც არასამთავრობო, ისე საჯარო სექტორში საქართველოსა და საზღვარგარეთ. მისი ინტერესის სფეროს წარმოადგენს: გენდერული თანასწორობის პოლიტიკა, ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპები, ახალგაზრდების გაძლიერება, გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება.

ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის თბილისში დაფუძნებული არაკომერ-ციული, არაპარტიული კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საყრდენის გასაძლიერებლად და კარგი მმართველობისა და განვითარების ხელშესაწყობად საქართველოში პოლიტიკის კვლევისა და ადვოკატირების გზით. ასევე, GIP ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და დემოკრატიული პროცესების განვითარებაში საზოგადოების მონაწილეობას. ორგანიზაცია მიზნად ისახავს, გახდეს განათლებისა და პოლიტიკის ინოვაციების მთავარი ცენტრი საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში. 2013 წლიდან ინსტიტუტი არის ეუთოს აკადემიური და კვლევითი ორგანიზაციების ქსელის წევრი.

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირისა (EU) და ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები არის ავტორების პასუხისმგებლობა და შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტისა და დონორის პოზიციას.

დოკუმენტის ციტირების წესი:

სალომე კანდელაკი, ნინო ჯიბუტი, გვანცა იჩქითი, “ახალგაზრდებზე ორიენტირებული მუნიციპალური მომსახურებები და მისი გამოწვევები: შიდა ქართლი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და სამცხე-ჯავახეთი,” პროექტის შედეგების ანგარიში, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, თებერვალი, 2024.

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მხარდაჭერით ევროკავშირი აღმოსავლეთ პარტნიორობის კეთილსინდისიერებისთვის პროგრამის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მისი შინაარსი შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტისა და OGP-ის, ან ევროკავშირის მოსაზრებებს.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP), 2023. ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 13, 0107 თბილისი, საქართველო; ტელ: +995 599 99 02 12; ელფოსტა: info@gip.ge.ge.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. www.gip.ge

სქოლიო

5	მოკლე მიმოხილვა
6	მთავარი მიგნებები
8	შესავალი
11	კვლევის მეთოდოლოგია
14	**თავი 1:** ადგილობრივ თვითმმართველობაში ახალგაზრდების ჩართულობის მექანიზმები
20	**თავი 2:** ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდებზე ორიენტირებული სერვისების ბარიერები
30	**თავი 3:** სამიზნე რეგიონებში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე სერვისების შეფასების მექანიზმების გაუმჯობესების გზები
34	დასკვნა
36	გამოყენებული ლიტერატურა
38	დანართი

აბრევიატურები

CRPD	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია
EU	ევროკავშირი
EECMD	აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატისთვის
FES	ფრიდრიხ ებერტის ფონდი
GIP	საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
IRI	საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი
ISSA	სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი
OGP	ღია მმართველობის პარტნიორობის
UNFPA	გაეროს მოსახლეობის ფონდი
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
USAID	ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტო
შშმ	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

მოკლე მიმოხილვა

ანგარიში აფასებს და აანალიზებს საქართველოს სამ რეგიონში შიდა ქართლში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამცხე-ჯავახეთში ახალგაზრდების ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის ფორმებს და მათ ხარისხს, ასევე ახალგაზრდებზე ორიენტირებული პროგრამების და მომსახურებების ეფექტიანობას.

ანგარიშის შესამუშავებლად გამოყენებულია მონაცემების შეგროვების ისეთი მეთოდები, როგორიცაა ფოკუს ჯგუფები სამიზნე რეგიონებში მცხოვრებ მოწყვლად ახალგაზრდებთან და სიღრმისეული ინტერვიუები შიდა ქართლის, აჭარის და სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი ხელისუფლებების, მედიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

კვლევის თანახმად, სამიზნე რეგიონებში, ძირითად საერთო მიგნებებს წარმოადგენს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდებზე ორიენტირებული პროგრამების სიმწირე. არსებული პროგრამები ძირითადად სკოლის ასაკის ახალგაზრდებზეა ორიენტირებული და უმეტესწილად კულტურული და სპორტული ღონისძიებებით შემოიფარგლება. გარდა ამისა, ამ ეტაპზე არც ერთ მუნიციპალიტეტში არ არსებობს საჯარო სერვისების შეფასების მექანიზმი. საერთო პრობლემაა მუნიციპალური ტრანსპორტის სიმცირე, ან არარსებობა, რაც გადაადგილების პრობლემას ქმნის, განსაკუთრებით კი შშმ პირებისთვის. მეტიც, სამივე მუნიციპალიტეტში იკვეთება აცდენა ადგილობრივი ხელისუფლებების წარმომადგენლებისა და ახალგაზრდების შეხედულებებსა და მოლოდინებს შორის, რის გამოც ახალგაზრდული პროგრამები არაეფექტიანია. კვლევის თანახმად, სამიზნე მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდებზე ორიენტირებული პროგრამების და სერვისების გაუმჯობესების და ზოგადად ახალგაზრდების ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩასართავად, საკვანძო მნიშვნელობას წარმოადგენს ეფექტიანი უკუკავშირის მექანიზმის არსებობა, იქნება ეს პირისპირ, სატელეფონო, თუ ონლაინ ფორმის. ამგვარად, ანგარიშში ასევე შემოთავაზებულია მუნიციპალური სერვისების შეფასების შესაძლო მექანიზმები და უკუკავშირის სხვა ფორმები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დემოკრატიულ ჩართულობას.

საკვანძო სიტყვები: ახალგაზრდები, მუნიციპალური სერვისები, თვითმმართველობაში ჩართულობა

მთავარი მიგნებები

შიდა ქართლის რეგიონი

შიდა ქართლში ახალგაზრდებს არსებულ სხვადასხვა სერვისთან დაკავშირებით ხშირად არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია და, შესაბამისად, ისინი ვერ სარგებლობენ ამა თუ იმ სიკეთეებით. განსაკუთრებით საყურადღებოა ის სოფლები, სადაც ინტერნეტზე წვდომა შეზღუდულია და გაციფრულებულ ინფორმაციას მოსახლეობა ვერ იღებს.

მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის, მათ შორის ახალგაზრდების, პრიორიტეტები ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა. შეიძლება მუნიციპალიტეტი ბევრ სასარგებლო პროექტს ახორციელებდეს, თუმცა ეს საკითხები მოსახლეობისთვის/ახალგაზრდებისთვის ნაკლებად პრიორიტეტული იყოს.

ამჟამად, არ არსებობს საჯარო სერვისების მიწოდების შეფასების მექანიზმი და სერვისების მიწოდება წინა წლის გამოცდილებას ეფუძნება. თუმცა, კვლევის პროცესში, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ დაიწყო უკუკავშირის კონკრეტულ მექანიზმზე მუშაობა, რომლის დანერგვაც მიმდინარე წელს იგეგმება.

ადგილობრივ თვითმმართველობებში ახალგაზრდებზე ორიენტირებულ სერვისებთან დაკავშირებით, მთავარ პრობლემას ბიუჯეტის სიმწირე წარმოადგენს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

უკუკავშირის მექანიზმის არარსებობის გამო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ნაკლებად არიან ინფორმირებული ადგილობრივი მოსახლეობის გამოწვევებისა და საჭიროებების შესახებ.

საჯარო სამსახურში კადრების ხშირი ცვლა მუნიციპალური მომსახურების მიღებისას პრობლემას ქმნის, რადგან ხშირ შემთხვევაში ახალი კადრების კომპეტენცია საკმარისი არ არის ჰოლისტიკურად მიუდგნენ მომსახურების მიმღები პირების საჭიროებებს.
გამოწვევას წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ხშირ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მხრიდან არ ხდება საჯარო ინფორმაციის მიწოდება კანონით განსაზღვრული ვადების დაცვით.

ადგილობრივი თვითმმართველობა არ არის ღია მიიღოს უკუკავშირი და რეკომენდაციები, და დანერგოს ისეთი სიახლეები, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების (მაგ. შშმ პირები) ცხოვრების ხარისხს გააუმჯობესებს.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

სამცხე-ჯავახეთში ახალგაზრდებზე ორიენტირებული საჯარო სერვისები და პროგრამები ძირითადად სპორტული და კულტურული ღონისძიებებით შემოიფარგლება, რაც ახალგაზრდების საჭიროებების მხოლოდ მცირე ნაწილის აკმაყოფილებს.

ეთნიკურად სომხებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში, ახალგაზრდების მთავარ გამოწვევებს ინფორმაციის ნაკლებობა, ენის ბარიერი, გადაადგილების პრობლემა და დანარჩენი მოსახლეობისგან იზოლირება წარმოადგენს, რის გამოც ისინი თავს საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად ვერ აღიქვამენ.

არსებობს აცდენა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ადგილობრივი ახალგაზრდების აღქმებს, მოლოდინებსა და რეალობას შორის. ახალგაზრდების უმრავლესობა თავს აქტიურ მოქალაქედ მიიჩნევს, თუმცა მათ არ აქვთ სათანადო ცოდნა ადგილობრივ თვითმმართველობაში ახალგაზრდების ჩართვის მექანიზმების შესახებ.

მუნიციპალურ დონეზე არ არსებობს სერვისების მიღების შემდგომ შეფასების მექანიზმი და ზოგადად უკუკავშირის პრაქტიკა, რის გამოც მუნიციპალიტეტები არსებული სერვისების დახვეწის საჭიროებას ვერ აცნობიერებენ.

სამიზნე რეგიონებში ახალგაზრდა შშმ პირებთან დაკავშირებული ძირითადი მიგნებები

შიდა ქართლის რეგიონში ერთ-ერთ გამოწვევად დასახელდა საკრებულოს სხდომებზე შშმ პირების დასწრების საკითხი. ერთი მხრივ, მერია ვალდებულია შშმ პირების დასწრება უზრუნველყოს, თუმცა, მეორე მხრივ, შშმ პირი ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღების ერთადერთი წყარო პირადი კონტაქტებია.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადგილობრივი თვითმმართველობა ზოგიერთ შემთხვევაში სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს შშმ პირებზე მორგებული შესაბამისი მომსახურების გაწევას (მაგ. ბრაილის შრიფტი და სმენაშეზღუდული ახალგაზრდებისთვის სურდო-თარჯიმანი).

სამცხე ჯავახეთის რეგიონში არ არსებობს შშმ პირებზე მორგებული ინფრასტრუქტურა, რაც გადაადგილების პრობლემებს ქმნის და მათ საზოგადოებაში ინტეგრირებას აფერხებს.

შესავალი

საქართველოში ახალგაზრდები ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად დემოგრაფიულ ჯგუფს წარმოადგენენ. მათი დიდი ნაწილისთვის გამოწვევა თავიანთი პოტენციალის რეალიზება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვნად ჩართვაა. გამოწვევად რჩება საჯარო სერვისების, თუ პროგრამების ადგილობრივ კონტექსტზე და ახალგაზრდების საჭიროებაზე მორგება. ახალგაზრდების სოციალურ თუ პოლოტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა განსაკუთრებით პრობლემური ხდება ხოლმე მათი საცხოვრისის გეოგრაფიული მდებარეობიდან, ფიზიკური მდგომარეობიდან, კულტურული მახასიათებლებისა, თუ ეთნიკური, ან რელიგიური განსხვავებულობიდან გამომდინარე. გარდა ამისა, მუნიციპალურ დონეზე საჯარო სერვისების შეფასების მექანიზმის არარსებობის გამო, ახალგაზრდებს არ შეუძლიათ შეაფასონ არსებული სერვისების ეფექტიანობა რათა ხელი შეუწყონ მათ დახვეწას.

ამგვარად, წინამდებარე ანგარიშში გაანალიზებულია შიდა ქართლში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ახალგაზრდების ადგილობრივ თვითმმართველობაში ჩართულობის კუთხით არსებული ბარიერები და შეფასებულია მათზე ორიენტირებული მუნიციპალური სერვისები და ამ კუთხით არსებული გამოწვევები. გარდა ამისა, ანგარიშში შემოთავაზებულია მუნიციპალური სერვისების შეფასების შესაძლო მექანიზმები.

2023 წლის იანვრის თვის მონაცემებით, საქართველოში 15-30 წლის 702,544 ახალგაზრდა ცხოვრობს, რაც მოსახლეობის თითქმის 19%-ს შეადგენს (საქსტატი 2023). სამიზნე რეგიონებში 15-დან 29 წლის ახალგაზრდების წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში შემდეგია: შიდა ქართლი 19.6%, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა 23% და სამცხე-ჯავახეთი 21.4% (UNFPA 2020).

გრაფიკი #1: 29 წლის ახალგაზრდები % წილი რეგიონის მოსახლეობაში, 2020 წ.



წყარო: (Cheishvili and Gogoladze, 2020). ახალგაზრდობის ინდექსი.

ხელმისაწვდომია: https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/youth_index_geo_2021_pdf.pdf

აქტიურ მოქალაქეთა უმრავლესობას, როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში საშუალო, ან უმაღლესო განათლება აქვს, დასაქმებულია, ან ჩართულია მოხალისეობრივ სამუშაოებში და მონაწილეობს არჩევნებში. აღნიშნულ ინდიკატორებზე დაყრდნობით, საგულისხმოა, რომ 2022 წლის მონაცემებით, საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების 31% არც დასაქმებულია და არც სწავლობს (IDFI 2023). IRI-ის საზოგადოებრივი გამოკითხვის თანახმად, წინა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების სურვილი ახალგაზრდების 80%-მა გამოთქვა, თუმცა მათ 38%-ს არ ქონდა ცოდნა არსებული საარჩევნო გარემოს შესახებ (IRI 2020). გარდა ამისა, საქართველოს რეგიონებში, ახალგაზრდების დიდი ნაწილი არ მონაწილეობს მათთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და მათ უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია ახალგაზრდობის მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების არსებობის შესახებ (FES 2021). აქედან გამომდინარე, ახალგაზრდების გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია დემოკრატიულ ჩართულობაზე და ზოგადად ინსტრუმენტებზე მათი ცნობიერების ამაღლება, დემოკრატიული ჩართულობისთვის მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავება და მათ საჭიროებებზე მორგებული მუნიციპალური სერვისების, თუ პროგრამების შემუშავება (EECMD 2021).

ახალგაზრდების დემოკრატიულ პროცესებში, განსაკუთრებით კი ადგილობრივ დონეზე თვითმმართველობაში მონაწილეობის გაძლიერება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ არის განსაზღვრული „ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა” (მუხლი 16. პუნქტი 4; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2024).

კანონმდებლობის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შემდეგი ფორმებია განსაზღვრული:

ა) დასახლების საერთო კრება;

ბ) პეტიცია;

გ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;

დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა;

ე) მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) მიერ შიდა ქართლში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამცხე-ჯავახეთში ჩატარებული კვლევის თანახმად, ჩართულობის ფორმებიდან ახალგაზრდები მხოლოდ პეტიციას იყენებენ (დანართი 1, ფოკუს ჯგუფები 2023). სოციალური კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, კითხვაზე ახორციელებს თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობა რაიმე ღონისძიებებს ახალგაზრდების ჩართულობის გასაზრდელად, რათა გაუმჯობესდეს მათი შესაძლებლობები ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საქართველოს მასშტაბით გამოკითხულ 18-24 წლის ახალგაზრდების 24.1%-მა აღნიშნა, რომ ახორციელებს, 35.1%-მა კი თქვა, რომ „არა“. ხოლო 25-34 წლის მოქალაქეების 25.5%-მა დადებითი პასუხი გასცა, ხოლო 28.8% თქვა, რომ არ ახორციელებს (ISSA 2021). ამგვარად, იკვეთება რომ ახალგაზრდების ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის გასაზრდელად საჭიროა ახალგაზრდების უფრო აქტიურად ჩართვა მათზე მორგებული პროგრამებისა და სერვისების შესამუშავებლად და შემდგომ შესაფასებლად.

პანდემიის პირობებში ნათლად გამოჩნდა, რომ საჯარო მმართველობის პროცესში მოქალაქეებისა და ადმინისტრაციული ორგანოების დისტანციური კომუნიკაციისა და უკუკავშირის ფორმებს ალტერნატივა არ აქვს. დღესდღეობით, ადგილობრივ ხელისუფლებასთან მოქალაქეების არაპირისპირი კომუნიკაციის ძირითად წყაროს, კვლავ სატელეფონო ზარი, კერძოდ ცხელი ხაზი, წარმოადგენს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში ცხელ ხაზზე სატესტოდ განხორციელდა სატელეფონო ზარები, გაიგზავნა წერილები და გამოიკვეთა, რომ ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებში უკუკავშირის მექანიზმი დანერგილია, თუმცა მათი საშუალებით ძალიან ზოგადი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი (მენაბდე, საღინაძე 2021). იმის გათვალისწინებით, რომ ახალგაზრდების უმრავლესობისთვის ელექტრონული სახის კომუნიკაცია პრობლემას ნაკლებად წარმოადგენს, ეფექტიანი უკუკავშირის უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტები სხვადასხვა მომსახურების მიწოდებას საკუთარი ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით, დისტანციურად უნდა უზრუნველყოფდნენ. ეს შესაძლებელია ვებ-გვერდზე არსებული ერთიანი ელექტრონული მართვის სისტემის ფუნქციონალის გამოყენებით. საუკეთესო შემთხვევაში, თითოეული მომსახურებისა და ადმინისტრაციული წარმოების პროცესთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტი უნდა ქმნიდეს მუდმივად განახლებად, ე.წ. „User Friendly“, ინსტრუქციებს და ავრცელებდეს როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ფორმით, რათა მაქსიმალურად გამარტივდეს მოქალაქისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთობა მომსახურების მიწოდებისა და მათი შეფასების პროცესში.

ადგილობრივ თვითმმართველობაში ახალგაზრდების ჩართულობის ფორმებისა და ხარისხის და მათზე მორგებული მუნიციპალური სერვისების შესახებ ქვეყნის მასშტაბით სიტუაციის მიმოხილვის საფუძველზე, წინამდებარე ნაშრომში დეტალურადაა გაანალიზებული სამ სამიზნე რეგიონში ამ კუთხით არსებული მდგომარეობა. კერძოდ, ქვემოთ მოცემულ ქვეთავებში მიმოხილულია შიდა ქართლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივ თვითმმართველობაში ახალგაზრ-დების ჩართულობის არსებული მექანიზმები და ბარიერები, ახალგაზრდების მონაწილეობის ხარისხი, მუნიციპალური სერვისების და პროგრამების და მათი შეფასების შესაძლო გზები.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი და მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები

მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლა, ბარიერების დადგენა და ეფექტიანი გამოსავლის გზების შემუშავება.

კვლევის მიზნებისთვის, მუნიციპალური მომსახურებები სამ ძირითად მიმართულებად დაიყო:

- ადგილობრივ თვითმმართველობაში ახალგაზრდების ჩართულობის არსებული მექანიზმები;
- სამიზნე რეგიონებში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდებზე ორიეტირებული სერვისები და ბარიერები;
- სამიზნე რეგიონებში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე სერვისების შეფასების მექანიზმების გაუმჯობესების გზები.

კვლევის მიზნებისთვის შეირჩა საქართველოს სამი რეგიონი, სადაც სხვადასხვა ტიპის მოწყვლადი ახალგაზრდები ცხოვრობენ. ზოგადად ახალგაზრდები მოწყვლად კატეგორიას მიეკუთვნებიან, თუმცა შერჩეული რეგიონების შემთხვევაში ახალგაზრდების კიდევ დამატებითი მოწყვლადი კატეგირიების დაფარვა გახდა შესაძლებელი. კერძოდ, შიდა ქართლში საოკუპაციო ხაზთან ახლოს მცხოვრები ახალაზრდების, აჭარაში მაღალმთიანი მოსახლეობის, ხოლო სამცხე-ჯავახეთში აქცენტი მთლიანად ეთნიკურ უმცირესობებზე გაკეთდა. გარდა ამისა, კვლევისას ასევე გათვალისწინებული იყო შშმ პირების გამოცდილება და მათი შეხედულებები, რათა ახალგაზრდების ადგილობრივ თვითმმართველობაში ჩართულობა უფრო ინკლუზიური და მოქნილი გახდეს.

კვლევისას მონაცემების შეგროვების ძირითად მეთოდად გამოყენებულია საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა, ოფიციალური ანგარიშებისა და სტატისტიკის დამუშავება და სხვა მეორადი წყაროების გაანალიზება. ანალიზის ძირითადი ნაწილი ეყრდნობა სამიზნე ჯგუფების კვლევის შედეგებს.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 5 ფოკუსჯგუფი 15-30 წლის ახალგაზრდებთან:

- შიდა ქართლში, კერძოდ გორში ჩატარდა ორი ფოკუს ჯგუფი (ჯამში 11 მონაწილე, ქალი - 9; კაცი - 2); ფოკუს ჯგუფის მონაწილეები იყვნენ გორისა და ხაშურის მაცხოვრებლები (მათ შორის შშმ პირები);
- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, კერძოდ ბათუმში ჩატარდა ორი ფოკუს-ჯგუფი (ჯამში 10 მონაწილე: ქალი - 6, კაცი - 4; ხელვაჩაურიდან, ხულოდან, ქედადან და ბათუმიდან) ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შორის იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
- სამცხე-ჯავახეთში კერძოდ ახალქალაქში, ჩატარდა ერთი ფოკუს-ჯგუფი (ჯამში 17 მონაწილე, ქალი - 14, კაცი - 3 ახალქალაქიდან, ახალციხიდან და ნინოწმინდიდან), ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შორის იყვნენ ეთნიკური უმცირესობები.

კვლევის ფარგლებში 10 სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა ადგილობრივი ხელისუფ-ლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მედიის წარმომადგენ - ლებთან.

- შიდა ქართლში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები გორის მერიის, არასამთავრობო ორგანიზაციისა და ადგილობრივი მედიის წარმომადგენელთან;
- აჭარაში ჩატარდა თითო სიღრმისეული ინტერვიუ ადგილობრივი ხელისუფლების, ადგილობრივი მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან;
- სამცხე-ჯავახეთში კი ჩატარდა ერთი სიღრმისეული ინტერვიუ ადგილობრივი საკრებულოს წარმომადგენელთან, ორი არასამთავრობო ორგანიზაციისა და ერთი მედიის წარმომადგენელთან (იხ. ცხრილი #1).

გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში ჩატარდა კონსულტაციები ქუთაისის მუნიციპა-ლიტეტთან, სადაც ღია მმართველობის პროგრამა ხორციელდება.

ცხრილი 1: GIP-ის კვლევის ფარგლებში ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების განაწილება რეგიონების მიხედვით

რეგიონი	სიღრმისებული ინტერვიუ/ფოკუს-ჯგუფი სექტორის ჭრილში			
	ადგილობრივი თვითმმართველობა	ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია	მედია	ფოკუს-ჯგუფი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	1	1	1	2 (10 მონაწილე, 6 ქალი; 4 კაცი)
შიდა ქართლის	1	1	1	2 (11 მონაწილე, 9 ქალი; 2 კაცი)
სამცხე ჯავახეთი	1	2	1	1 (17 მონაწილე, 14 ქალი; 3 კაცი)

კვლევის შეზღუდვები

არაზუსტი სტატისტიკა და მასალის სიმცირე

კვლევის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენდა ლიტერატურის სიმწირე საქართველოს გამოცდილების შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობებში დანერგილი უკუკავშირის მექანიზმებისა და საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის მიმართულებით. სამაგიდე კვლევისთვის გამოყენებულია სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევა, რაც ართულებს რეგიონული კონტექსტის ერთიანი კრიტერიუმების მიხედვით გაანალიზების შესაძლებლობას. ასევე, არსებული კვლევები საკმაოდ მოძველებულია და ნაკლებად ასახავს რეალურ სურათს. ამასთან, არაზუსტი და მოძველებულია სტატისტიკა, რაც რაოდენობრივ ჭრილში მეორადი მონაცემების დამუშავებას ართულებს, რათა პრობლემის სიმწვავე ჯეროვნად იყოს აღქმული.

რეპრეზენტატულობა

ფოკუსჯგუფებში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა რეგიონის მუნიციპალიტეტების წარმომადგენელმა, რაც რეგიონული განზოგადების საშუალებას არ იძლევა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ერთ რეგიონში ჩატარებულ ორ ფოკუს-ჯგუფში, ხშირად მეორდებოდა პასუხები, რაც ზოგადი ტენდენციის დანახვის საშუალებას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები თავისი რეგიონის საზოგადოების აქტიურ და მოტივირებულ ნაწილს წარმოადგენენ, შედეგების განზოგადება არ არის მართებული რეგიონულ ჭრილში. რეპრეზენტაციულობის კუთხით ასევე აღსანიშნავია ის, რომ ახალგაზრდების მიერ მოწოდებული ინფორმაცია კონკრეტული ქალაქებისა და სოფლების რეალობას ასახავს, ხოლო რეგიონში არსებული ზოგადი სიტუაცია შესაძლოა ოდნავ განსხვავებული იყოს.

თავი 1:
ადგილობრივ თვითმმართველობაში ახალგაზრდების ჩართულობის მექანიზმები

შიდა ქართლის რეგიონი

გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავალი 90 მილიონი ლარია. ბიუჯეტის ძირითადი წილი ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მოდის, შემდეგ საგანამანათლებლო და სოციალურ პროგრამებზე ნაწილდება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2023). მერია ცდილობს, სხვადასხვა პროგრამის მეშვეობით, ადგილობრივ დონეზე მცირემასშტაბიანი პროექტების განხორციელებასა და ახალგაზრდების ჩართვას ხელი შეუწყოს. ასევე, ხშირია სხვადასხვა არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფაქტები. თუმცა, მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, შიდა ქართლში მცხოვრები ახალგაზრდები კვლავ ყოველდღიურად აწყდებიან რიგ გამოწვევებს სხვადასხვა მიმართულებით.

რესპონდენტების გამოცდილება ადგილობრივ თვითმმართველობაში ჩართულობის მიმართულებით, განსხვავდება მათი სამუშაო ადგილისა თუ ასაკის მიხედვით. გამომდინარე იქიდან, რომ ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობდნენ სკოლის მოსწავლეები, მნიშვნელოვანია მათი მოსაზრებების გამიჯვნა დანარჩენი, ზრდასრული მონაწილეებისგან, რომელთაც განსხვავებული ხედვა აქვთ. შიდა ქართლის რეგიონის მოსწავლეების (ხაშურის მუნიციპალიტეტი) აზრით, ახალგაზრდების ჩართვა ადგილობრივ თვითმმართველობაში ნიშნავს ისეთ ინიციატივებსა თუ პროექტებში ჩართვას, რომელიც გავლენას ახდენს რეგიონის /მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურასა და მსგავს მნიშვნელოვან საკითხებზე, რაც მეტწილად დაკავშირებულია ბიუჯეტირებაში ჩართვასთან.

ადგილობრივი ორგანიზაციები ცდილობენ, ხელი შეუწყონ სკოლის მოსწავლეებისა და ზოგადად, ახალგაზრდების გაქტიურებას მუნიციპალიტეტის მასშტაბით (გორი, ახალგაზრდები, 6 ივლისი, 2023). ამ მიმართულებით, ფოკუს ჯგუფის დროს ხაზი გაესვა ამერიკული კუთხის როლს, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდული ინიციატივების წინ წამოწევას. ზოგადად, ამერიკული სივრცეების მიზანს შეერთებულ შტატებსა და ადგილობრივ აუდიტორიას შორის ურთიერთობის დამყარების ხელშეწყობა წარმოადგენს, რაც ხორციელდება სხვადასხვა საინტერესო აქტივობებისა და პროგრამების მეშვეობით (აშშ-ს საელჩო საქართველოში).

უშუალოდ მონაწილეებს სხვადასხვა ტიპის გამოცდილება აქვთ ადგილობრივ თვითმმართველობაში ჩართვის მხრივ, მაგალითად, ერთ-ერთი სკოლის მოსწავლის ინიციატივით ქალაქში გაკეთდა აბრები (გორი, ახალგაზრდები, 6 ივლისი, 2023). ასევე, მათი თქმით, **ხაშურის მუნიციპალიტეტში ყოველკვირეული ტრენინგები იმართება ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა მაგალითად შშმ პირთა საჭიროებები** და სკოლის სოციალური მუშაკი მოსწავლეებს რეგულარულად აწვდის სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას. ზოგადად, საქართველოს სკოლებში განათლების სისტემის სოციალური მუშაკები 2021 წლიდან მუშაობენ (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო).

„მუნიციპალიტეტმა გვასწავლა განცხადების დაწერა და მსგავსი საკითხები. სკოლის სოციალურმა მუშაკმა სასამართლოში წაგვიყვანა და იქ არსებულ პროცედურებზე გვესაუბრა“ (გორი, ახალგაზრდები, 6 ივლისი, 2023).

გორიელი სრულწლოვანი რესპონდენტების გამოცდილება მერისთან თანამშრომლობის კუთხით მოიცავს მერიის თანადაფინანსებით განხორციელებულ პროექტებში ჩართულობას სხვადასხვა მიმართულებით, მაგალითად, რეპროდუქციული ჯანმრთელობა. ასევე, მერიის პროექტი „საკრებულო ახალგაზრდებისთვის“ ხელს უწყობს ადგილობრივ დონეზე მცირემასშტაბიანი პროექტების განხორციელებას და ცდილობს ახალგაზრდები ჩართოს ამა თუ იმ საკითხის განხილვის პროცესში (გორი, ახალგაზრდები, 6 ივლისი, 2023).

მონაწილეების თქმით, გორის მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭო 2-3 თვეში ერთხელ იკრიბება და ამ შეხვედრებზე მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია, თუმცა, ახალგაზრდების უმრავლესობას მუნიციპალურ სერვისებთან დაკავშირებით არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია ან/და კომპეტენცია ჩართულობისთვის. მაგალითად, არსებობს ელექტრონული ფორმა „შენი იდეა მერს“, რომლის გამოყენება ყველას შეუძლია, თუმცა ეს ფორმა საჭიროებს ელექტრონულ ხელმოწერას და მოსახლეობისთვის რთული გამოსაყენებელია. ასევე, ახალგაზრდებს შეუძლიათ თავიანთი ინიციატივების გაჟღერება მერიის ორგანიზებულ ბანაკებში ან მერთან შეხვედრაზე ჩაწერა სოციალურ საკითხებზე ოთხშაბათს დღეს, თუმცა, მონაწილეების თქმით, ეს უკანასკნელი ნაკლებად ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის (გორი, ახალგაზრდები, 6 ივლისი, 2023).

სერვისებთან დაკავშირებით, ასევე ისაუბრა გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმაც, რომლის მიხედვითაც მერია ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა ტიპის სერვისს სთავაზობს, მათ შორის ჯანდაცვის, სოციალური პროგრამების, კულტურულ-რეკრეაციული, საგანამანათლებლო და ა.შ. მიმართულებით ასევე, სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მერიაში შეიქმნა ბავშვთა დაცვის სამსახური (გორი, მუნიციპალიტეტი, 6 ივლისი, 2023).

2023 წელს, გორის მერიამ ახალგაზრდებზე ორიენტირებული 40-ზე მეტ პროექტი განახორციელა და საერთო ჯამში 6000-ზე მეტი ბენეფიციარი ჰყავდა (გორის მუნიციპალიტეტის მერია, პროექტების ნუსხა 2023).

კონკრეტულად ახალგაზრდებზე ორიენტირებულ პროგრამებს რაც შეეხება, მერიის ბაზაზე არსებობს „ლიდერთა ლიგა“, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს. მათ აქვთ შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია პრიორიტეტული საკითხები და ამ საკითხების გადაწყვეტა ხდება ახალგაზრდებთან თანამშრომლობით (გორი, მუნიციპალიტეტი, 6 ივლისი, 2023).

გარდა ამისა, მერიის ორგანიზებით ეწყობა ბანაკები, სპორტული თუ შემეცნებითი ღონისძიებები. მუნიციპალიტეტისგან განსაკუთრებული მცდელობაა, საზაფხულო ბანაკებს გაუწიონ ორგანიზება, სადაც სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი იქნება მონაწილეობა (გორი, მუნიციპალიტეტი, 6 ივლისი, 2023).

ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან. ამ საკითხს ხაზი გაესვა როგორც ფოკუსჯგუფზე, ასევე, უშუალოდ მერიის წარმომადგენელთან საუბრისას. ფოკუს ჯგუფზე ამის მაგალითად მოყვანილი იქნა ის ფაქტი, რომ მერიასთან თანამშრომლობითა და არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“(CSI) მხარდაჭერით, შიდა ქართლში მცხოვრებ დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ ტრენინგები გაევლოთ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ხოლო მოგვიანებით, თავიანთი ინიციატივები განეხორციელებინათ. აღნიშნულ თანამშრომ-ლობას მერიის წარმომადგენელმაც გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ მერია თანამშრომლობს CSI-თან პროექტ „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში, რომელიც თანადაფინანსების პრინციპით ახალგაზრდების იდეებზე დაყრდნობით, კონკურსის წესით არჩევს სხვადასხვა სახის პროექტებს და აფინანსებს. შერჩეულ პროექტებს ადმინისტრირებას მერია უწევს (გორი, მუნიციპალიტეტი, 6 ივლისი, 2023).

მიუხედავად ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა, რესპონდენტთა ნაწილს აქვს განცდა, რომ მუნიციპალიტეტში არჩეული პირები ვერ იაზრებენ იმას, რომ ისინი მოსახლეობას უნდა ემსახურონ და მხოლოდ საბაზისო საკითხების დაკმაყოფილება და არჩევნების წინ ინიციატივების წამოწევა არ არის საკმარისი (გორი, ახალგაზრდები, 6 ივლისი, 2023).

„გორის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდში ახალგაზრდებს გვინდოდა ახალგაზრდული ცენტრის გაკეთება, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მეტად პრიორიტეტულად გარე განათებების საკითხი მიიჩნია. ეს ამ ახალგაზრდებისთვის ძალიან დიდი იმედგაცრუება იყო“ (გორი, ახალგაზრდები, 6 ივლისი, 2023).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში ახალგაზრდების წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობის 23% შეადგენს (UNFPA 2020), რაც 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდების საკმაოდ დიდი რაოდენობაა. მიუხედავად ადგილობრივი თვითმმართ-ველობის ინიციარებული და განხორციელებული პროექტე-ბისა, ადგილობრივი ახალგაზრდების ინტერესებზე მორ-გებული და ინკლუზიური მომსახურებები კვლავ გამოწვევას წარმოადგენს. 2019 წელს აჭარაში სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი დაარსდა, რომლის მთავარი მიზანი ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართულობა, მოხალისეობრივი საქმიანობის პოპულარი-ზაცია, ახალგაზრდების კარიერული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შესაბამისი პროგრა-მების შემუშავება იყო. არაერთი საერთაშორისო დონორი თუ ორგანიზაცია ახორციელებს აჭარის რეგიონში სხვადა-სხვა ტიპის განვითარების პროექტებს, თუმცა ახალგაზრ-დების ჩართულობის მექანიზმებისა და მოქალაქეთა უკუკავ-შირის მექანიზმის არარსებობა აფერხებს მათი განწყო-ბებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებას.

მუნიციპალიტეტებში დამკვიდრებული პრაქტიკების თანახმად, სერვისების შემუშავების პროცესში მოქალაქეების ჩართვა ხორციელდება ბოლო ეტაპზე, რაც არ არის საკმარისად ეფექტიანი. რიგ შემთხვევებში, ასევე ყოფილა თემატურ ჯგუფებთან, მათ შორის ახალგაზრდებთან და შშმ პირებთან ფოკუს ჯგუფების ჩატარების პრაქტიკები. თუმცა, ამ სახით მოქალაქეთა ჩართულობის კომპონენტი ძირითადად საინფორმაცია ხასიათით შემოიფარგლება და ამით სერვისების გასაუმჯობესებლად ხელშესახები შედეგები არ მიიღწევა (Tech 2021). გარდა ამისა, ახალგაზრდობის საჭიროებებსა და გამოწვევებზე ახალგაზრდობის სააგენტოსა და ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, აჭარაში ახალგაზრდების 69%-მა არ იცის ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში არსებული პროგრამების და სერვისების შესახებ (FES 2021).

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანებისთვის რომლებსაც აქვთ ეს ინფორმაცია, წყარო ძირითადად ადგილობრივი ტელევიზიაა. ახალგაზრდებისთვის განსაზღვრული ძირითადი აქტივებებიდან სპორტული შეჯიბრებები, კონცერტები, დასუფთავების აქციები გამოიკვეთა, რაც ძირითადად სკოლის მოსწავლეების ასაკობრივ კატეგორიაზეა გათვლილი და არ პასუხობს სტუდენტობიდან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდების ინტერესებს და საჭიროებებს (FES 2021).

GIP-ის მიერ ჩატარებული ფოკუსჯგუფების ფარგლებში გამოიკითხენ ისეთი ახალგაზ-რდები, რომელთაც ერთხელ მაინც მიუმართავთ მუნიციპალიტეტისთვის სერვისის მისაღებად. გამოკითხულ ახალგაზრდებს სხვადასხვა გამოცდილება ჰქონდათ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის კუთხით. აზრი ორად გაიყო, ნაწილმა დადებითად დაახასიათა ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის გამოცდილება, ნაწილი კი უკმაყოფილო იყო მათი მუშაობით. გამოკითხული ახალგაზრდების აბსოლუტური უმრავლესობა აქტიურ ახალგაზრდად მიიჩნევს თავს. მათი გადმოსახედიდან, ახალგაზრდების აქტიურობა გამოიხატება საკრებულოს სხდომებზე დასწრებაში, მერიის შესაბამისი განყოფილებისთვის განცხადებით მიმართვაში და ხელმოწერების შეგროვებაში (ბათუმი, ახალგაზრდები, 3 ივლისი, 2023).

ადგილობრივ მერიასთან თანამშრომლობის პოზიტიურ მაგალითად ახალგაზრდებმა ზებრა გადასასვლელების მოხატვა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენისთვის საჭირო სივრცის გამოყოფა დაასახელეს. ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ მერიას თავადაც გამოუჩენია აქტიური ახალგაზრდების კონკრეტულ ღონისძიებებში ჩართვის ინიციატივა. თუმცა, ახალგაზრდების გამოცდილებით გამოწვევას წარმოადგენს გონივრულ ვადებში მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდება და დროულ რეაგირება. კერძოდ, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა მოიყვანეს კონკრეტული მაგალითი, როდესაც მათ ხელვაჩაურში სოფლიდან ცენტრალური გზის გაყვანისთვის მოითხოვეს გეოლოგიური დასკვნა და მისი მიწოდება გაჭიანურდა ოთხი თვე. საგულისხმოა, რომ ახალგაზრდების გადმოცემით, დასკვნაში მწვავე შედეგი დაფიქსირდა, მუნიციპალურმა ინსპექციამ შეამოწმა, თუმცა პრობლემას, როგორც ახალგაზრდები ამბობე,ნ შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია (ბათუმი, ახალგაზრდები, 3 ივლისი, 2023).

კვლევისას ასევე გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდები ინფრასტუქტურული პრობლემების მოგვარების მიზნით მიმართავენ ძირითადად ადგილობრივ თვითმმართველობას. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ქალაქის ურბანულ და სატრანსპორტო პოლიტიკას ნეგატიურად აფასებენ და მიიჩნევენ, რომ მოსახლეობის ინტერესები არ არის სათანადოდ გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ხშირ შემთხვევაში, მერიის წარმომადგენლები, საჯარო დისკუსიის დროს, თავს არიდებენ მწვავე საკითხებზე საუბარს ***„ქაოტური მშენებლობა და ქაღაქის ახახსებული დაგეგმახება მწვავე პრობლემაა. სახლიდან ჩამოსვლისას პიხდაპის ქუჩაში ხახ, ახანაიხი ეზო“*** (ბათუმი, მედია, 6 ივლისი, 2023).

რეგიონში მცხოვრებ მოწყვლად ჯგუფებს რაც შეეხება, შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებადამცველებსაც ხშირად უწევთ ადგილობრივ თვითმმართველობასთან ურთიერთობა. ადვოკატირებისა და ლობირების შედეგად, ხელმისაწვდომი გახდა პერსონალური ასისტენტის პროგრამა ბათუმში. ათივე თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობა ღია არ არის, მიიღოს რჩევები, გაითვალისწინოს რეკომენდაციები და დანერგოს ისეთი სიახლეები, რომელიც მოწყვლადი ჯგუფების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება. ფოკუს-ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა: ***„ადგილობრივ თვითმმართველობასთან მუშაობა თავიდან ძალიან ხთული იყო, თუმცა ხოცა გავიცანით ეთმანეთის საქმიანობა, შედეხებით გამეხტივდა თანამშრომლობა“*** (ბათუმი, ახალგაზრდა, შშმ პირი, 5 ივლისი, 2023).

ადგილობრივ თვითმმართველობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესების ერთ-ერთი გზა უკუკავშირია. ახალგაზრდებს მიაჩნიათ, რომ ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები არ არიან სათანადოდ ინფორმირებული ადგილობრივი მოსახლეობის გამოწვევების შესახებ; ასევე მათ ამ მიმართულებით საქმიანობის გაუმჯობესების არც მზაობა აქვთ. მერიის მომსახურებებისა და პროგრამების შეფასების მექანიზმის არარსებობა კი ამ გამოწვევებს კიდევ უფრო ამწვავებს. მაგალითად, მნიშვნელოვანი პრობლემები შეინიშნება შშმ პირთა ფუნქციური შეზღუდვის სახეების მიხედვით, დასაქმებისა თუ ინფრასტრუქტურის ადაპტირებასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების თვალსაზრისით.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდებზე ორიენტირებული არსებული სერვისებიდან შესაძლოა გამოვყოთ ორი ძირითადი მიმართულება. პირველი ესაა სპორტთან დაკავშირებული შესაძლებლობები, რაც მათი ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის ხელშესაწყობად ხორციელდება. მეორე მთავარ მიმართულებად იკვეთება კულტურული ხასიათის აქტივობები, რომლებშიც ახალგაზრდები სხვადასხვა ფორმით ერთვებიან (ეისითი 2021). კერძოდ, ესენია ადგილობრივი ახალგაზრდების ნიჭის სადემონსტრაციოდ წახალისებული კონცერტები, ან დღესასწაულებზე მოსახლეობის გახალისებისა და მათი სოციალიზაციის მიზნით ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებები (ახალქალაქი, მუნიციპალიტეტი, 27 ივლისი, 2023). გარდა ამისა, ახალგაზრდების მიერ ფოკუსჯგუფზე დასახელდა ჯანდაცვასთან და სამოქალაქო განათლებასთან დაკავშირებული სერვისები და პროგრამები. აღსანიშნავია, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით თავად ახალგაზრდებს, ან მათ ოჯახის წევრებს ერთხელ მაინც უსარგებლიათ. ახალგაზრდები დადებითად აფასებენ საზაფხულო სკოლების პროგრამას, რომელიც მუნიციპალიტეტის თანაორგანიზებით ხორციელდება და დაახლოებით 100-მდე ადგილობრივი ახალგაზრდაა ჩართული.

თუმცა აქვე ყურადღებას ამახვილებენ ენის ბარიერზე და სხვა რეგიონების ახალგაზრდებისგან მათი იზოლირების პრობლემაზე, რაც მათი თქმით, ინტეგრაციას უშლის ხელს (ახალქალაქი, ახალგაზრდები, 27 ივლისი, 2023). ამავე პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელმაც, რომლის თქმითაც „ბავშვებს არ აქვთ შესაძლებლობა, გავიდნენ რეგიონიდან, გაიცნონ, შეიცნონ და თავი იგრძნონ ამ ქვეყნის რაღაც ნაწილად." იგივე აზრი განავრცო მედიის წარმომადგენელმაც და თქვა, რომ ეთნიკური უმცირესობები სრულფასოვან მოქალაქეებად არ აღიქვამენ თავს არსებული ბარიერების გამო (ახალქალაქი, მედია, 27 ივლისი, 2023).

მუნიციპალიტეტების მიერ შემოთავაზებული სერვისებისა და პროგრამების დასახელებაზე მეტად ახალგაზრდებს იმ პროექტების დასახელება გაუადვილდათ, რომლებსაც ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციები ახორციელებენ. მრავალ პროექტთაგან ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ახალგაზრდებმა დაასახელეს წითელი ჯვრის ჰუმანიტარული ხასიათის პროგრამები, ე.წ. „ახალგაზრდული იდეის ცენტრი“, იდეების გენერირებისთვის; ჟვანიას სახლობის ცენტრი ენის შესასწავლად; USAID-ის ახალგაზრდული ცენტრის ფარგლებში განხორციელებული ინიციატივები, სადაც ახალგაზრდებს საშუალება მიეცათ შეხვედროდნენ საკრებულოს წარმომადგენლებს და მათი პრობლემების შესახებ ესაუბრათ. გარდა ამისა, მათ დაასახელეს ახალქალაქის მედია სივრცე, სადაც მათ საშუალება აქვთ დაწერონ სტატია რეგიონის გაუმჯობესების გზების შესათავაზებლად (ახალქალაქი, ახალგაზრდები, 27 ივლისი, 2023). საგულისხმოა, რომ ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ახალგაზრდების აბსოლუტური უმრავლესობა თავს აქტიურ ახალგაზრდად მიიჩნევს. ამის დამადასტურებლადის აქტივობები მოიყვანეს, რომლებშიც მონაწილეობა მიუღიათ, ან ჩართულობის სურვილი ჰქონდათ. ერთ-ერთ ასეთ მაგალითად მოიყვანეს აქცია, რომლის დროსაც საჯარო სერვისებზე ინფორმაციის გასავრცელებლად გააკრეს პოსტერები. მათი აზრით, აქტიურია ის, ვინც ტრენინგებსა და პროექტებში მონაწილეობს და მიღებულ ინფორმაციას თავის ქალაქსა და სოფლებში ავრცელებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მათ არ აქვთ სათანადო ინფორმაცია იმ სხვადასხვა ინსტრუმენტებზე, რის საშუალებითაც უკეთ შეეძლებათ ჩართვა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ინტერვიუს დროს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ახალქალაქის ახალგაზრდა მერი არის ძალიან მოტივირებული, რომ მოძებნოს ახალგაზრდები, რომლებიც არა მხოლოდ კონკრეტულ პროგრამას შეაფასებენ, არამედ თავად შესთავაზებენ მერს იდეებს და ინიციატივებს, თუმცა ასეთი შემთხვევები, მისი თქმით, ძალიან ცოტაა (ახალქალაქი, არასამთავრობო სექტორი, 27 ივლისი, 2023).

ამას მოწმობს სამცხე-ჯავახეთში ახალგაზრდების გამოკითხვის შედეგებიც, კერძოდ, შეკითხვაზე ბოლო 1-2 წლის განმავლობაში ახალგაზრდებს მიუღიათ თუ არა მონაწილეობა თავიანთი მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გამოკითხულთა უმრავლესობამ უპასუხა, რომ ასეთი გამოცდილება არ ჰქონიათ (FES 2021). მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ იკვეთება ახალგაზრდების სურვილი, იყვნენ აქტიურები, თუმცა არ აქვთ შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომ მათი ჩართულობა უფრო ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული იყოს.

თავი 2:
ადგილობრივ თვითმმართველობებში ახალგაზრდებზე ორიენტირებული სერვისების მიწოდების ბარიერები

ცხრილი 2: ადგილობრივ თვითმმართველობაში ჩართვისა და სერვისების მიღების ბარიერები სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების ახალგაზრდებისთვის - ფოკუსჯგუფების შედეგების მიხედვით

რეგიონი	**ზოგადად ახალგაზრდები**	**ეთნიკური უმცირესობები**	**შშმ პირები**	**საოკუპაციო ხაზთან ახლოს მცხოვრები ახალგაზრდები, იძულებით გადაადგილებული პირები**
შიდა ქართლი	1. ახალგაზრდებისთვის გასაგებად ფორმულირებული ინფორმაციის დაბალი ხელმისაწვდომობა 2. ცნობიერების დაბალი დონე 3. ხელისუფლების მიერ კომუნიკაციის არაეფექტური საშუალებების გამოყენება		1.ინფორმაციის ნაკლებობა 2.ადაპტირებული ინფრასტრუქტურის არარსებობა 3.შშმ ახალგაზრდების ჩართულობის მექანიზმების ნაკლებობა/ არარსებობა	1.ინტერნეტზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა 2.ინფორმაციის ნაკლებობა
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	1. საჯარო სამსახურში კადრების ხშირი ცვლილება გავლენას ახდენს მომსახურების მიღებაზე 2. საჯარო ინფორმაციის მიწოდების კანონით განსაზღვრული ვადების დარღვევა 3. ქაოტური მშენებლობა და ურბანული პრობლემები გამოწვევას წარმოადგენს ახალგაზრდებისთვის 4. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა არ არის წახალისებული		1. არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი მომსახურების არარსებობა 2. ადგილობრივ თვითმმართველობაში კადრების ხშირი ცვლილება 3.დაბალი კომპეტენცია საჯარო სექტორში დასაქმებული თანამშრომლების არსებული მომსახურების შესახებ 4. კრიტიკული მოსაზრებების დაბალი მიმღებლობა	

სამცხე-ჯავახეთი	1. ტრანსპორტირების პრობლემა 2. ინფორმაციის ნაკლებობა 3. ცნობიერების დაბალი დონე 4. ქალაქებსა და სოფლებს შორის კომუნიკაციის პრობლემა	1. გარიყულობა 2. ენობრივი ბარიერი 3. თავისუფლების დაბალი ხარისხი 4. ცნობიერების დაბალი დონე 5. საჯარო ინფორმაციაზე დაბალი ხელმისაწვდო-მობა	1. გადაადგილების პრობლემა 2. ადაპტირებული ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი სერვისების არარსებობა	

ცხრილი 3: ახაგაზრდების ადგილობრივ თვითმმართველობაში ჩართვისა და სერვისების მიღების ბარიერები - სამიზნე რეგიონებში ადგილობრივი ხელისუფლების, მედიის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგები

რეგიონი	**ადგილობრივი ხელისუფლება**	**ადგილობრივი მედია**	**ადგილობრივი არასამთავრობო სექტორი**
შიდა ქართლი	1.ახალგაზრდების მოტივაციის დაბალი დონე 2.ახალგაზრდების ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი 3.მიგრაციის მაღალი დონე	1.ცნობიერების დაბალი დონე 2.ნიჰილისტური განწყობები 3.შიში, რომ მათი აქტიურობა ზიანს მოუტანს ოჯახს/ გარშემომყოფებს	1.ხახალგაზრდების პასიურობა 2.ინტერნეტზე შეზღუდული წვდომა 3.თამამი ნაბიჯების გადადგმის შიში
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	1.ახალგაზრდების დაბალი აქტივობა 2.ინფორმირებულობის დაბალი დონე 3.მოთხოვნების სწორი არტიკულაცია	1. ცნობიერების დაბალი დონე 2.კრიტიკული აზრისგან თავის შეკვაება, რათა გავლენა არ მოახდინოს ოჯახის წევრების სამსახურეობრივ სტატუსზე 3.ინფორმაციის სწორი არხებით მიწოდების პრობლემა	1.ახალგაზრდების დაბალი ინტერესი 2.ინფრასტრუქტურის გაუმართაობა მაღალმთიან აჭარაში 3. კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმისგან თავშეკავება
სამცხე-ჯავახეთი	1. ახალგაზრდების პასიურიბა 2. ახალგაზრდების დაბალი ინტერესის თვითმმართველობის საკითხების მიმართ	1. ახალგაზრდების პასიურობა 2. ხელისუფლების მხრიდან ინფორმაციის ეფექტურად გავრცელების პრობლემა	1.ინფორმაციის ნაკლებობა 2.საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაკლებობა 3. ეთნიკური უმცირესობების იზოლირებულობა დანარჩენი საქართველოსგან

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

2024 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემოსავლები 5 მილიონ ლარს აღემატება. მიმმდინარე წლის პრიორიტეტების უმეტესი ნაწილი არჩევნების, ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ბიზნესისა და ექსპორტის ხელშეწყობა და განათლების გარდა ახალგაზრდული სფეროს გაძლიერებას გულისხმობს. კონკრეტულად კი, აღნიშნული პრიორიტეტები ახალგაზრდების კარიერული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შესაბამისი პროგრამების შემუშავებას, აჭარის რეგიონის ახალგაზრდების ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობების გამოვლენას და გაღრმავებას, თავისუფალი დროის სწორად მართვისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას, ახალგაზრდობის შრომითი საქმიანობის ხელშეწყობას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვისა და გააქტიურებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნას ემსახურება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2023).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ახალგაზრდობის საკითხებს კურირებს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“ მიმართვის საფუძველზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ორ თანამშრომელს უშუალოდ ევალება „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების“ ქვეპროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობა. მათ უფლება-მოვალეობებს წარმოადგენს ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალური პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავება, დანერგვა და მართვა. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის პოლიტიკის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობისთვის დახარჯულმა თანხამ 2019 წელს 1,9 მლნ. ლარსს გადააჭარბა, 2020 წელს კი დაახლოებით 1,1 მლნ. ლარი შეადგინა. თუ წინა წლებში გამოყოფილ ბიუჯეტს გადავხედავთ, 2021 წელს, ახალგაზრდობისთვის განკუთვნილი აქტივობე- ბისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი 1,5 მლნ. ლარს აჭარბებს (FES 2021). აღნიშნულის მიუხედავად, რჩება რიგი გამოწვევები, რომელიც ხელს უშლის ახალგაზრდებს თავისი პოტენციალის რეალიზება მოახდინონ.

გრაფიკი #2: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობისთვის განკუთვნილი პროექტებისა და პროგრამების ბიუჯეტი 2019-2021 წლებში (ლარი).



წყარო: ახალგაზრდობის საჭირობები და გამოწვევები მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე, 2021. ხელმისაწვდომია: https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/18399.pdf

რაც შეეხება კონკრეტულად პროექტებსა და პროგრამებს, რომლებისთვისაც იყო გამოყოფილი თანხები, ისინი მრავალფეროვანია, თუმცა მოიცავს ძირითადად სპორტულ აქტივობებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ პროფესიული გადამზადებისა და არაფორმალური განათლების მიმართულებითაც არის განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობები.

აჭარის რეგიონში ასევე, გამოწვევად რჩება შშმ პირების ინტეგრაციის საკითხი. შინმოვლის პროგრამა ერთ-ერთი წარმატებაა, რომელიც ადგილობრივი შშმ პირების ადვოკატირების შედეგად შეიქმნა. საქართველოს რატიფიცირებული აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (CRPD), რომელიც ძალაში შევიდა 2014 წელს. ამ დოკუმენტით ქვეყანამ აიღო სამართლებრივი ვალდებულება, რომ ყველა შშმ პირს შეეძლოს სარგებლობა ადამიანის უფლებებითა და ფუნდამენტური თავისუფლებებით. 2020 წელს მიღებული კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კიდევ ერთი დადებითი ნაბიჯი იყო მათი უფლებებისა და კეთილდღეობის დასაცავად. კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ, გარკვეულწილად გაუმჯობესდა სამართლებრივი და პოლიტიკური გარემო: დაინერგა დამხმარე მექანიზმები შშმ პირთა საზოგადოებაში ჩასართავად, დაიწყო მათი სოციალურ მოდელზე გადასვლისა და დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი, ამოქმედდა სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის პროგრამები.

ამ ცვლილებების მიუხედავად, შშმ პირთა ყოველდღიური ცხოვრება საქართველოში მხოლოდ მცირედით გაუმჯობესდა. ისინი რჩებიან ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფად, რომელსაც შეზღუდული აქვს წვდომა განათლებაზე, დასაქმებასა და ჯანდაცვაზე, და კვლავაც აწყდებიან სტიგმასა თუ ცრურწმენებს. შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების სისტემა ვერ გასცდა სამედიცინო მოდელს და უმეტესწილად უგულებელყოფს ინდივიდუალურ ფუნქციონირებას, ასევე, იმ გარემო ფაქტორებს, რომლებიც ძირს უთხრის აღნიშნულ პირთა კეთილდღეობას (კუკავა, 2022).

კვლევის ფარგლებში, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა არაერთი გამოწვევა დაასახელეს, რომელიც ხელს უშლის მათ ჩართულობას სხვადახვა მომსახურებებსა თუ პროგრამებში. მათ შორის, შშმ პირებს რიგი გამოწვევებთან უწევთ გამკლავება, რათა ინფორმაცია მიიღონ და შეძლონ ინტეგრირება საზოგადოებაში, როგორც სრულფასოვანმა წევრებმა. გამოკითხულმა რესპონდენტებმა, უკუკავშირის მექანიზმის არარსებობის გარდა სხვადასხვა მიმართულებით რესურსებთან წვდომა და არაკვალიფიციური კადრები დაასახელეს ძირითად გამოწვევად.

რესურსებზე წვდომის ნაკლებობა

ფოკუსჯგუფის მონაწილეების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სხვადასხვა სახის რესურსებთან წვდომა გამოწვევას წარმოადგენს, რაც განპირობებულია ადგილობრივ დონეზე, ხშირ შემთხვევაში, მწირი რესურსების არსებობით. განსაკუთრებით ეს პრობლემა შშმ პირებს აწუხებთ, იმისათვის რომ მომსახურება მიიღონ, ფიზიკურად მისვლაა საჭირო, რაც რთულია, რადგან ყველა შშმ პირს არ ჰყავს პირადი ასისტენტი. ამასთან ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურისა და შენობების არაადაპტირებულობა კიდევ უფრო ამწვავებს ამ პრობლემას.

ქალაქში მობილობის პრობლემა რესურსებთან წვდომის პირდაპირ პროპორციულია. გამომდინარე იქედან, რომ ყველა ცენტრი/შენობა არ არის ადაპტირებული, შესაბამისად შშმ პირები ვერ მიდიან ადგილზე. უსინათლო ადამიანებისთვის ბრაილის შრიფტით განცხადების დაწერა შეუძლებელია. მერიასა და საკრებულოში არ ჰყავთ სურდო-თარჯიმანი, რომელიც სმენადაქვეითებულ მოქალაქეს სერვისების მიღებაში დაეხმარებოდა.

საკრებულოს სხდომებზე არ დადიან კრიტიკულად განწყობილი ახალგაზრდები და არ ისმის მწვავე კითხვები, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღება ერთეული პირების პრეროგატივაა (ბათუმი, მედია, პირადი კომუნიკაცია, 6 ივლისი, 2023). აჭარის რეგიონი განსაკუთრებულია იმ მხრივაც, რომ სახალხო კრებები მეჩეთში ტარდება, სადაც ქალებს დასწრების უფლება არ აქვთ. საჭიროა ნეიტრალური სივრცე შეირჩეს მსგავსი ტიპის შეხვედრებისთვის, რათა თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეთ ქალებსა და კაცებს ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში (ბათუმი, ახალგაზრდები, პირადი კომუნიკაცია, 3 ივლისი, 2023).

ადგილობრივი თვითმმართველობის კადრების არაეფექტური მუშაობა

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა საჯარო მოხელეთა კომპეტენციაზე ისაუბრეს და დაასახელეს გამოწვევად, რომელიც ხელს უშლის მოქალაქეებს მომსახურების მიღებაში. ახალგაზრდების თქმით, ხშირ შემთხვევაში ელექტრონულად გაგზავნილი კორესპონდენციები ან იკარგება, ან ხშირ შემთხვევაში პასუხგაუცემელი რჩება. ხშირად, ცხელი ხაზზეც შეუძლებელია სათანადო პასუხის მიღება, რადგან ტექნიკურად გაუმართავია.

> ***„მოქალაქეს, რომელიც კონკრეტული მომსახურების მიღების მიზნით მივიდა მერიაში, პასუხისმგებელი თანამშრომელი სხვა დონის ხელისუფლების მომიჯნავე მომსახურების შესახებ არ აწვდის ინფორმაციას"*** (ბათუმი, ახალგაზრდები, 5 ივლისი, 2023).

მონაწლეები აცხადებენ, რომ ხშირ შემთხვავაში, უშუალოდ თანამშრომლებიც არ არიან ინფორმირებული სახელმწიფო სერვისების შესახებ. კადრების გადინება და ხშირი ცვლილება გარკვეულწილად გავლენას ახდენს ახალი თანამშრომლების მომზადების და ინფორმირებულობის დონეზე.

უკუკავშირის სისტემის არარსებობა ადგილობრივ თვითმმართველობაში

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების თქმით, უკუკავშირის მექანიზმი (ციფრული თუ ზეპირსიტყვიერი) არ გამოიყენება ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულში. მათი თქმით, ხშირ შემთხვავში, მერია არ არის ღია მიიღოს უკუკავშირი, ან თუ ამის შესაძლებლობა აქვს მოსახლეობას, ის ნაკლებად არის ასახული მათი საქმიანობისა თუ მომსახურებების გაუმჯობესებაში, იშვიათი გამონაკლისების გარდა.

შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდები ადგილობრივ თვითმმართველობებში ახალგაზ- დებზე ორიეტირებული სერვისების მიწოდების მიმართულებით რიგ გამოწვევებთან ერთად, როგორიც არის მუნიციპალიტეტისა და ახალგაზრდების პრიორიტეტების შეუსაბამობა, შშმ პირების ჩართულობის დაბალი ხარისხი და სხვა, სპეციფიკურ ბარიერებსაც აწყდებიან საოკუპაციო ხაზთან სიახლოვის გამო საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში ინტერნეტსა და ციფრულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონეა. ის მცირედი ჩამონათვალია იმ ბარიერებისა, რასაც შიდა ქართლში მცხოვრები ახალგაზრდები ყოველდღიურად აწყდებიან საჯარო სერვისების მიწოდების კუთხით.

ადგილობრივი ხელისუფლების და ახალგაზრდების პრიორიტეტების აცდენა

ახალგაზრდებზე ორიენტირებული საჯარო სერვისებზე საუბრისას, ფოკუსჯგუფის დროს რიგი ბარიერები გამოიკვეთა, რასაც ახალგაზრდები ყოველდღიურად აწყდებიან. მათი მოსაზრებით, პრობლემის არსი არის ის, რომ ზოგადად მუნიციპალიტეტისა და ახალგაზრდების პრიორიტეტები ერთმანეთს არ ემთხვევა, გადაწყვეტილების მიმღები პირები და საჯარო მოხელეები ყველაზე მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ საკითხებს მიიჩნევენ, მაშინ როცა ახალგაზრდებისთვის სოციალური თემატიკა გაცილებით პრიორიტეტულია (გორი, ახალგაზრდები, 6 ივლისი, 2023).

> ***„მუნიციპალიტეტში ახ ახსებობს ინდივიდუალური მიდგომა. მეხიისთვის უფრო მნიშნელოვანი მასებზე გათვლა და უფრო დიდი მასშტაბების მოცვაა, ამ დროს კი კონკრეტული ინდივიდების საჭიროებები იკარგება“*** (გორი, ახალგაზრდები, 11 ივლისი, 2023).

ინფორმაციაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა

ერთ-ერთ გამოწვევად დასახელდა საკრებულოს სხდომებზე შშმ პირების დასწრების საკითხი. შშმ ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ ამჟამად შშმ პირების მხარდამჭერი პროგრამების თაობაზე ინფორმაციის მისაღებად ერთადერთი გზა პირადი კონტაქტებია, რაც არასწორია (გორი, ახალგაზრდები, 11 ივლისი, 2023).

ცალკე ბარიერად გამოიყო მუნიციპალიტეტების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე საკმარისი ინფორმაციის არარსებობა ან/და კომუნიკაციის შეუსაბამო ფორმა. ახალგაზრდების აზრით, ხშირად შერჩეული ტერმინოლოგია მათთვის ბუნდოვანი და გაუგებარია (გორი, ახალგაზრდები, 6 ივლისი, 2023).

იმ სოფლებში, სადაც ინტერნეტზე წვდომა შეზღუდულია (ეს განსაკუთრებით ეხება საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებსა და დევნილ მოსახლეობას), ციფრულ ინფორმაციას მოსახლეობა სათანადოდ ვერ იღებს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ინფორმაციის ალტერნატიული წყაროებით გავრცელება, მაგ. ბუკლეტების დარიგება, პირისპირ შეხვედრები და ა.შ.

„თანადაფინანსების პროგრამის შესახებ წეარია ვებ-გვერდზე, თუმცა სად უნდა შეივსოს განაცხადი და როგორ, მაგაზე ინფორმაცია არაა. აპლიკაცია ონლაინ არაა ხელმისაწვდომი“ (გორი, ახალგაზრდები, 6 ივლისი, 2023).

ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით, გადამწყვეტია ასევე ადგილობრივი მედიისა და ტელევიზიის როლი. მოსახლეობის ნაწილისთვის, რომლისთვისაც ინტერნეტი ხელმისაწვდომი არ არის, მნიშვნელოვანია საჯარო სერვისებისა და პროგრამების შესახებ ინფორმაცია ადგილობრივი ტელევიზიის საშუალებით გავრცელდეს. ვინაიდან ხანდაზმული მოქალაქეები უფრო მეტად ტელევიზიის ყურებით იღებენ ინფორმაციას, მნიშვნელოვანია ამ პლატფორმის სწორად ათვისება და მაქსიმალურად გამოყენება. ხშირად ოჯახში უფროსი თაობა არის კონკრეტული ინფორმაციის გადამცემი უმცროსი თაობისთვის, შესაბამისად, ეს ასპექტიც უნდა იყოს გათვალისწინებული (გორი, ახალგაზრდები, 11 ივლისი, 2023).

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სიმწირე

რაც შეეხება, ადგილობრივი თვითმმართველობის პოზიციას, მათი გადმოსახედიდან ახალგაზრდებზე ორიენტირებულ სერვისებთან დაკავშირებით, მთავარ პრობლემას ბიუჯეტის სიმწირე წარმოადგენს (გორი, მუნიციპალიტეტი, 6 ივლისი, 2023). ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი მიემართება ინფრასტრუქტურულ პროექტების, ხოლო შემდეგ საგანმანათლებლო და სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე. მიუხედავად იმისა, რომ სხვა მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით, გორის მუნიციპალიტეტს საკმაოდ სოლიდური დაფინანსება აქვს - საერთო ბიუჯეტი 90 მილიონ ლარს აღემატება, ეს მაინც არ არის საკმარისი ახალგაზრდებზე ორიენტირებული ყოვლისმომცველი სერვისების დანერგვა-განხორციელებისთვის (გორი, მუნიციპალიტეტი, 6 ივლისი, 2023).

სექტორთშორისი თანამშრომლობა

საზოგადოების ინფორმირებულობისთვის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სექტორთშორისი თანამშრომლობა. სხვადასხვა სექტორებს შორის ინფორმაციის გაცვლა-გაზიარება წარმოადგენს წინაპირობას, რომ მოსახლეობა მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნება სწორი და ობიექტური ინფორმაციით (გორი, მედია, 15 ივლისი, 2023). ფოკუსჯგუფის დროს ასევე ხაზი გაესვა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, უნივერსტეტების, სკოლებისა და კერძო სექტორის როლს საინფორმაციო ჯაჭვში. ხშირად სოციალური პროგრამების დიდი ჩამონათვალი რეალურად კეთდება და მაცნეზე იტვირთება, თუმცა მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია (გორი, ახალგაზრდები, 11 ივლისი, 2023).

„ხშირად მიმდინარე პროექტებსა და პროგრამებში ბიზნესის ჩართულობა და თანამშრომლობა დამოკიდებულია პერსონალურ კონტაქტებზე“(გორი, ახალგაზრდები, 6 ივლისი, 2023).

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიც შეიძლება წარმატებით ჩაერთონ საზოგადოების ინფორმირებულობის კომპონენტში სხვადასხვა საინფორმაციო ბუკლეტების დაბეჭდვა-გავრცელებითა თუ კამპანიების წარმოებით (გორი, მედია, 15 ივლისი, 2023).

დაბოლოს, გადასახედია ამა თუ იმ პროგრამაში/პროექტში ჩართვის კრიტერიუმები, რესპონდენტების აზრით, ხშირად აქტივობებში ჩართვისას იმდენად მკაცრი მოთხოვნებია, რომ შეუძლებელია მათი დაკმაყოფილება (გორი, ახალგაზრდები, 6 ივლისი, 2023).

სამცხე - ჯავახეთის რეგიონი

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების სერვისებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით და მასთან დაკავშირებულ გამოწვევათაგან ფოკუსჯგუფის მონაწილე ახალგაზრდებმა სამი ძირითადი პრობლემა გამოკვეთეს: საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემა, ენობრივი ბარიერი, ინფორმაციის ნაკლებობა.

გადაადგილების და ინფორმაციის მიღების პრობლემა

ტრანსპორტირების პრობლემაზე საუბრისას, ახალგაზრდებმა ყურადღება გაამახვილეს არამარტო საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაკლებობაზე, არამედ მომსახურების ღირებულებაზე, რომლის გადახდაც მოსახლეობის დიდ ნაწილისთვის პრობლემაა. ამისთან აღნიშნეს, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმართაობისა და ტრანსპორტის ნაკლებობის და არაადაპტირების გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უჭირთ გადაადგილება და იძულებულები არიან უმეტესი დრო სახლში გაატარონ, რაც აფერხებს მათ საზოგადოებაში სოციალიზაციას (ახალქალაქი, ახალგაზრდები, 27 ივლისი, 2023).

აღნიშნულ პრობლემებზე არასამთავრობო ორგანიაზიების წარმომადგენლებმაც გაამახვილეს ყურადღება, კერძოდ იმაზე, უტრანსპორტობა რამდენად გარიყულს ტოვებს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას. რეგიონის ქალაქებსა და სოფლებს შორის დიდ უთანასწორობაზე ისიც მეტყველებს, რომ „ეისითის" გამოკითხვის შედეგების თანახმად, სოფლებში გამოკითხული ახალგაზრდების 46%-ის თქმით, მათთან დასახლებაში არცერთი სერვისი არ არის ხელმისაწვდომი, ხოლო ამავე რეგიონის ქალაქებში გამოკითხულთაგან მხოლოდ 5%-მა მიუთითა მსგავს პრობლემაზე (ეისითი 2021).

ზუსტად ამ პრობლემაზე გაამახვილეს ყურადღება ფოკუსჯგუფის მონაწილეებიც, აღნიშნეს, რომ სოფლებში უმეტესობას არ აქვს ის ინფორმაცია და შესაძლებლობები, რაც თუნდაც ახალციხესა და ახალქალაქში მცხოვრებ მოქალაქეებს აქვთ. მათი აქვთ ინიციატივა, სოფლებში ინფორმირებულობის პრობლემის გასადაჭრელად, მუნიციპალიტეტების მერიის მიერ დაფინანსდეს ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების ტრანსპორტირება სოფლებში, სადაც შეხვდებიან ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით თანატოლებს და გაუზიარებენ მათ მიერ ტრენინგებსა თუ სხვადასხვა პროგრამებში მიღებული ცოდნა.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ საკითხზე ჰქონდათ მედიის წარმომადგენლებს პროექტი, რომლის მიზანიც სოფლის მოსახლეობის ინფორმირებულობა იყო სხვადასხვა სერვისების შესახებ, რათა ეს სერვისები უფრო ხელმისაწვდომი გამხდარიყო მათთვის.
ათი თქმით, მუშაობდნენ სწორედ ახალგაზრდებთან, რომ მათი ჩართულობით, ადვოკატირების კამპანიისა და სხვა გზებით მიეტანათ ინფორმაცია სამიზნე ჯგუფებამდე. მათ ახალგაზრდებს მიაწოდეს ინფორმაცია არსებული გრანტების, სხვადასხვა ადგილობრივი თუ რეგიონალური ხასიათის პროგრამების შესახებ, სოციალური მომსახურების სააგენტოს საქმიანობისა და სოციალურად დაუცველთათვის პროგრამების შესახებ. ამ პროცესში აღმოაჩინეს, რომ ახალგაზრდებს გადაადგილების პრობლემა შეექმნათ. გააცნობიერეს, რომ ზოგადად მოსახლეობას გადაადგილების მინიმალური საშუალებაც კი არ გააჩნიათ. ამ პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, ახალგაზრდები ონლაინ დაატრენინგეს. საბოლოოდ კი მედიებმა შექმნეს პეტიცია, შეიტანეს საკრებულოში, რამდენიმე შეხვედრისა და არგუმენტების წარდგენის შემდეგ დაარწმუნეს ადგილობრივი ხელისუფლება ტრანსპორტის აუცილებლობაში და შედეგად საცდელ რეჟიმში ამოქმედდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხაზი (ახალქალაქი, მედია, 27 ივლისი, 2023). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად ინიციატორებმა საკრებულოსგან გამოითხოვეს პეტიციის ფორმა, რაც მათ არ აღმოაჩნდათ და შემდეგ მედიამ და არასამთავროვო სექტორმა თავად შესთავაზა პეტიციის ფორმატის სხვადასხვა ვარიანტები და ერთად შეჯერდნენ ფორმაზე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მედია და არასამთავრობო სექტორი დაეხმარა ადგილობრივ მუნიციპალი-ტეტს, ახალგაზრდების ჩართულობასაც შეუწყო ხელი და საბოლოო ჯამში მიაღწია საზოგადოებრივი ტრანსპორტის დანიშვნას.

ენობრივი ბარიერი

ტრანსპორტირებისა და ინფორმირებულობის პრობლემების გარდა, ენობრივი ბარიერი ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა. სწორედ ამის გამო, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს არ ეძლევათ სერვისებით, თუ პროგრამებით თავისუფლად სარგებლობის საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ დონეზე, ეთნიკურად სომეხი უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მუნიციპალური სერვისის მიღება სომხურ ენაზეც შესაძლებელია, აღნიშნული სერვისების არეალი საკმაოდ მწირია და სახელმწიფო საჯარო სერვისების, უფრო მასშტაბური ინიციატივებისა, თუ პროექტების განსახორციელებლად ქართული ენის ფლობა მნიშვნელოვანია. თუმცა აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ უფროსი თაობისგან განსხვავებით, ახალგაზრდებს სახელმწიფო ენის სწავლის უფრო დიდი სურვილიდა მეტი საშუალებებიც აქვთ(ახალქალაქი, ახალგაზრდები, 27 ივლისი, 2023; ახალქალაქი, არასამთავრობო სექტორი, 27 ივლისი, 2023).

მედიის წარმომადგენლები ერთ-ერთ გამოწვევად ასევე ასახელებენ არსებული სერვისების გაუმართაობას. მათი თქმით, რეგიონში ხშირია ახალგაზრდებზე და ბავშვებზე, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები, რის გამოც მედიას მიმართავენ ხოლმე დასახმარებლად, კერძოდ ინფორმაციის მისაღებად იმის შესახებ, თუ ვისთვის შეიძლებოდა ბავშვების ფსიქოლოგიური ტრამვის, თუ პრობლემების გამო მიემართათ. მედიის წარმომადგენლის თქმით, მერიაში გაიხსნა კაბინეტი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიური დახმარების გასაწევად, თუმცა რეალურადეს სერვისი არ მუშაობს. ამიტომ მედიას თავად უწევს ხშირად ფსიქოლოგებთან ინტერვიუების ჩაწერა და ასეთ თემებზე გადაცემების მომზადება(ახალქალაქი, მედია, 27 ივლისი, 2023).

ახალგაზრდების პასიურობა

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელმა და ასევე ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წევრმა პრობლემა ახალგაზრდების პასიურობას დაუკავშირა. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის თქმით, „ახალგაზრდების დაინტერესება და მათი მოტივირება ადგილობრივ თვითმმართველობაში ჩასართავად არის გამოწვევა" (ახალქალაქი, მუნიციპალიტეტი, 27 ივლისი, 2023). ამავე არგუმენტს ამყარებს მედიის წარმომადგენლის მიერ მოყვანილი მაგალითი იმის შესახებ, რომ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ დაგეგმა ახალგაზრდების დღის აღნიშვნა (13 აგვისტო) და ახალგაზრდებს შესაძლებლობა მისცა,, თავად გადაეწყვიტათ, როგორ სურდათ ამ დღის აღნიშვნა. გენდერული საბჭოს თხოვნით, მედიამ ახალგაზრდებს მიაწოდა ამ ინიციატივის შესახებ ინფორმაცია. თუმცა, რესპონდენტის თქმით, გამოხმაურება, ან რაიმე შეთავაზება არავისგან ყოფილა. შესაბამისად, რეგიონში პრობლემას ისიც წარმოადგენს, რომ თვითონ ახალგაზრდები დიდად აქტიურები არ არიან. მათი პასიურობის მიზეზი კი შეიძლება იყოს ის, რომ არ აქვთ საბასიზო ცოდნა დემოკრატიული ღირებულებების და ინსტრუმენტების შესახებ და არ აქვთ რწმენა იმისა, რომ თავად შეძლებენ რაიმეს შეცვლას.

თავი 3:
სამ სამიზნე რეგიონში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე სერვისების შეფასების მექანიზმების გაუმჯობესების გზები

კვლევის ფარგლებში, ფოკუს-ჯგუფისა და ინდივიდუალური სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არც ერთ მუნიციპალიტეტში არ არსებობს საჯარო სერვისების შეფასების მექანიზმი და ხშირ შემთხვევაში სერვისების მიწოდება წინა წლის გამოცდილებას ეფუძნება, მაგალითად, თუკი საზოგადოებამ აითვისა გასულ წელს მიმართული კონკრეტული მომსახურება, მიიჩნევა, რომ ეს სერვისი მოთხოვნადი და საჭიროა (გორი, არასამთავრობო სექტორი, 8 ივლისი, 2023). საჭიროებს თუ არა აღნიშნული მომსახურება რომელიმე მიმართულებით დახვეწას, ამის შესახებ ადგილობრივ თვითმმართველობას არ აქვს ინფორმაცია.

„ჯანმთელობის პრობლემების მქონე პირებს უფინანსდებათ მხოლოდ კონკრეტული პრეპარატები, ხოლო სხვა იგივე დაავადებისთვის საჭირო მედიკამენტი არ ფინანსდება. დაუშვებელია ამა თუ იმ მედიკამენტის ჩანაცვლება დაფინანსებისთვის“ (გორი, არასამთავრობო სექტორი, 8 ივლისი, 2023).

ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ახალგაზრდებმა სხვადასხვა უკუკავშირის მექანიზმის შემუშავებაზე იმსჯელეს, მათ შორის სატელეფონო აპლიკაციის, ვებ-გვერდის დამატებითი ფუნქციისა და კითხვარის ფორმის შესახებ. თითოეულ მიდგომას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და, შესაბამისად, რისკები გააჩნია, რადგან იგი უნდა მოერგოს სხვადახვა კატეგორიისა და ციფრული უნარ-ჩვევების მქონე მოსახლეობას. არსებული პლატფორმები, რომელიც ირიბად ამ მიზანს ემსახურება ტექნიკურად რთულია, შესაბამისად, მოსახლეობა ნაკლებად ან არ იყენებს აღნიშნულ მექანიზმს. ამასთანავე, მოსახლეობის ინფორმირების მიზნით საჭიროა კამპანიის წარმოება და ინფორმაციის გასაგებ ენაზე მიწოდება.

კვლევის სამიზნე რეგიონებში რესპონდენტებმა სხვადასხვა მიმართულება დაასახელეს, თუ როგორ შეიძლება ამა თუ იმ საჯარო სერვისის შეფასება საზოგადოების მიერ. მათი აზრით, საკითხი საკმაოდ რთულია და კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. ეს, ერთი მხრივ, გულისხმობს შეფასების სხვადასხვა მექანიზმისა და პლატფორმის გამოყენებას, ხოლო, მეორე მხრივ, სწორი და გასაგები ტერმინოლოგიის/ლექსიკის შერჩევას. ასევე, მნიშვნელოვანია სამიზნე აუდიტორიის სწორი განსაზღვრა, მათი საჭიროებების იდენტიფიცირება და რელევანტური საკომუნიკაციო არხების შეთავაზება.

ყველა რეგიონში გამოიკვეთა ახალგაზრდებზე ორიენტირებული საჯარო სერვისების გაუმჯობესების საჭიროება. ასევე, ახალგაზრდებს, მედიისა და არასამთავრობო სექტორის წამომადგენლებს აქვთ სურვილი არსებობდეს უკუკავშირის მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს მათ თავიანთი აზრი დააფიქსირონ და ადგილობრივ თვითმმართველობამდე კონსტრუქციულად მიიტანონ მოსაზრება არსებულ თუ მომავალში დასანერგი სასურველი მომსახურებებისშესახებ.

მტკიცებულებაზე დაფუძნებული მომსახურებების შემუშავება

შიდა ქართლსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გამოიკვეთა მოსახლეობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის აუცილებლობა, მათთვის განკუთვნილი საჯარო მომსახურებების შემუშავებამდე. პირველ რიგში, სანამ კონკრეტული პროგრამები ან/და პროექტები დაიგეგმება და ბიუჯეტში გაიწერება, საჭიროა ადგილობრივად წინასწარი მოკვლევის ჩატარება. მნიშვნელოვანია, კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით მოხდეს არსებული სიტუაციის შეფასება და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების იდენტიფიცირება. რესპონდენდების თქმით, ადგილობრივად კვლევები ფაქტობრივად არ ტარდება და შესაბამისად, განხორციელებული პროექტები თუ პროგრამები ხშირად რეალობას აცდენილია.

ეს საკითხი განსაკუთრებით პრობლემატურია შშმ პირებთან მიმართებაში, ვინაიდან რესპონდენტების თქმით მათი საჭიროებების შესახებ გამოკითხვები არ ტარდება, არ გამოიყენება ინდივიდზე მორგებული მიდგომა და მხოლოდ უშედეგო შეხვედრებით შემოიფარგლება მუნიციპალიტეტი (გორი, ახალგაზრდები, 11 ივლისი, 2023).

გამოკითხული ახალგაზრდების თქმით, გარკვეული პერიოდულობით უნდა ტარდებოდეს საჭიროების კვლევა, პარალელურად მუდმივად უნდა ჰქონდეს მოსახლეობას განახლებული ინფორმაცია იმ პროგრამებისა და მომსახურებების შესახებ, რომლებსაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტი სთავაზობს მათ. განსაკუთრებული ხაზი გაესვა საკრებულოს სხდომებსა და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში ჩართულობის მნიშვნელობას.

სატელეფონო ზარი ან/და სმს გამოკითხვა

შიდა ქართლისა და აჭარის რეგიონში ახალგაზრდების თქმით, რესპონდენტებისთვის მისაღები ერთ-ერთი შეფასების ფორმა შეიძლება იყოს ბენეფიციარის სატელეფონო ზარით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით (სმს) გამოკითხვა. ორივე შემთხვევაში უმნიშვნელოვანესია კითხვარის სწორად შედგენა და იმის გათვალისწინება, რომ კითხვების სტრუქტურა რაც შეიძლება მოკლე და კონკრეტულ პასუხებს უზრუნველყოფდეს.

სატელეფონო კომუნიკაცია უფრო სიღრმისეული პასუხებისა და შეფასების საშუალებას იძლევა მაშინ, როდესაც სმს შეტყობინებით შეფასება გაცილებით ნაკლებ დროს საჭიროებს (გორი, ახალგაზრდები, 6 ივლისი, 2023). ასევე, უპრიანი იქნება გამოკითხვა ჩატარდეს სერვისის მიღების დასაწყისსა და ბოლოში, რათა მოხდეს მოლოდინების და რეალური შედეგების შეფასება და უფრო სიღრმისეული ინფორმაცია მიიღონ პროგრამის ავტორებმა.

ვებ-გვერდზე/სოციალურ ქსელში შეფასების ველი ან/და ელ-ფოსტით გამოკითხვა

შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების დროს მსჯელობისას, ორივე რეგიონში ონლაინ კითხვარის საჭიროება გამოიკვეთა, რომელიც შესაძლებელია ელ-ფოსტით ან ვებ-გვერდზე/სოციალურ ქსელში ჩაშენებული შეფასების ფორმით მოხდეს. ამ დროსაც, ძალიან მნიშვნელოვანია კითხვარის სწორად შედგენა ბენეფიციართა სწორად იდენტიფიცირება, რათა ის პირები ვისაც ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა შეზღუდული აქვთ, არ დარჩნენ გამოკითხულთა რიცხვს მიღმა. ასევე, შემუშავდეს სხვადასხვა შეფასების სქემები სხვადასვა ასაკობრივი თუ ციფრული კომპეტენციის მქონე პირებისთვის.

სამცხე-ჯავახეთის შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ ონლაინ უკუკავშირის ფორმატის შემუშავებას ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ახალგაზრდების ნახევარი მიზანშეწონილად მიიჩნევს. რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიიჩნევენ, რომ შეფასების ფორმა ორენოვანი უნდა იყოს (ქართულ-სომხური). გარდა ამისა, მათი თქმით მნიშვნელოვანია ანონიმურობის უზრუნველყოფა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიზნით. აჭარაში გამოკითხული ახალგაზრდების მსგავსად, სამცხე-ჯავახეთში ახალგაზრდებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების თვალსაზრისით სასურველია შეიქმნას ონლაინ აპლიკაცია, რომელსაც ისინი მობილურებში ჩამოწერენ და ისე შეძლებენ შეფასებას. გარდა ონლაინ აპლიკაციით უკუკავშირისა, ახალგაზრდებმა გამოთქმეს სურვილი, შეიქმნას საჯარო ონლაინ პლატფორმა, სადაც ახალგაზრდებს ექნებათ საშუალება ანონიმურად ან ღიად გამოთქვამ მოსაზრებები ამა თუ იმ სერვისის, თუ პროგრამის შესახებ და ასევე ექნებათ შესაძლებლობა, თვეში ერთხელ ჩამოწერინ ის პრიორიტეტები, რაც მათი მნიშვნელოვანია ახალგაზრდების თვითმმართველობაში ჩართვის ხელშესაწყობად (ახალქალაქი, ახალგაზრდები, 27 ივლისი, 2023).

აჭარაში მცხოვრები გამოკითხული ახალგაზრდებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების თქმით, შესაძლოა მერიის არსებულ ვებ-გვერდზე დაემატოს უკუკავშირის ფორმა. იდა ქართლის ახალგაზრდების თქმით, შესაძლოა შემუშავდეს სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს ინდივიდს ე.წ. “ვარსკვლავის” სისტემის მეშვეობით შეაფასოს კონკრეტული მომსახურება რამდენიმე კრიტერიუმის გათვალისწინებით, რაც რეგულარულად უნდა შემოწმდეს მერიის მიერ და მოჰყვეს შესაბამისი რეაგირება.

საერთო ჯამში, სამივე რეგიონში ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ნებისმიერი შეფასების დროს, მნიშვნელოვანია კომპლექსური მიდგომა და ადგილობრივ კონტექსტზე, შესაბამის ასაკობრივ სეგმენტზე მორგებული მექანიზმების გამოყენება, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს მოსახლეობის სოციალური პირობები და ციფრული განათლების დონე და ხელმისაწვდომობა განსხვავდება რეგიონების მიხდვით.

პირისპირი შეხვედრები ახალგაზრდების ჯგუფსა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს შორის

სამივე რეგიონში ფოკუსჯგუფის მონაწილეთა ნაწილმა საჯარო სერვისების მიღების შემდეგ უკუკავშირის ერთ-ერთ მთავარ მექანიზმად მერიის, საკრებულოებისა და გამგეობების წარმომადგენლებთან პირისპირი შეხვედრები დაასახელა. მათი თქმით, მნიშვნელოვანია რომ ახალგაზრდებმა თავიანთი აზრი თავისუფლად დააფიქსირონ იმის თაობაზე თუ რომელი მომსახურების გაუმჯობესებას ისურვებდნენ. ახალგაზრდების აზრით, ეს საუკეთესო გზაა იმისთვის რომ დიალოგი შედგეს, უკუკავშირი ცალმხრივი არ იყოს და უშუალოდ ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებმაც დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია, თუ რამდენად არის პრობლების გამოსწორება შესაძლებელი.

მონაწილეების თქმით, პირისპირი გამოკითხვის სარგებელი ისაა, რომ მეტი შანსია რესპონდენტმა უპასუხოს კითხვას. ასევე, თუკი გამოკითხვა სერვისის მიღების ადგილზევე მოხდება, ცხელ გონებაზე გულწრფელობის ხარისხი უფრო მაღალი იქნება (გორი, ახალგაზრდები, 6 ივლისი, 2023). თუმცა, მეორე მხრივ, პირისპირი გამოკითხვის დროს ყოველთვის არის რისკი, რომ ადამიანი ბოლომდე გულწრფელები არ იქნებიან და ნაკლებად კომფორტულად იგრძნობს თავს, ვიდრე ანონიმური შეფასების დროს. პირისპირი გამოკითხვის გამოყენება, ასევე შესაძლებელია უშუალოდ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გასვლითი შეხვედრების დროს მოსახლეობასთან.

„ოდესაც დეპუტატებს აქვთ გასვლითი შეხვედრები, იქ შეიძლება დაემატოს შეკითხვა სერვისების კუთხით კმაყოფილების შესახებ“(გორი, ახალგაზრდები, 6 ივლისი, 2023).

ახალგაზრდების ნაწილის მოსაზრებით, შესაძლებელია ახალგაზრდებმა და ზოგადად მოქალაქეებმა სერვისების მიღებისთანავე მუნიციპალიტეტის თანამშრომლის, ან სხვა ნეიტრალური პირის წინაშე ზეპირად შეაფასონ სერვისის მიღების კმაყოფილების დონე, რასაც თანამშრომელი თავად აღრიცხავს. თუმცა, როდესაც უკუკავშირი ზეპირია და ანონიმურობის შენარჩუნება რთულია, ამ შემთხვევაში შეფასების სისტემა შესაძლოა ძალიან მარტივი და ტექნიკური ხასიათის იყოს. მედიის წარმომადგენლების შემოთავაზება იყო ჟურნალისტების მიერ მოქალაქეების პერიოდული გამოკითხვა, რათა ზეწოლა გაიზარდოს ადგილობრივ ხელისუფლებაზე და მეტი პასუხისმგებლობით მიუდგნენ საჯარო მომსახურების გაწევას, თუ ახალგაზრდული პროგრამების დამუშავებას. მედიის ინიციატივით, ინტერვიუები შესაძლოა იყოს ღია, ან რესპონდენტის სურვილის შემთხვევაში დაფარული. მედიის წარმომადგენლები ასევე სპონტანურად აპირებენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუს ჩაწერას სერვისების ხარისხზე და მისი მიწოდების მოქნილობაზე. თუმცა შედეგების თვალსაზრისით მედიის წარმომადგენლები მეტწილად სკეპტიკურად არიან განწყობილები გამომდინარე იქიდან, რომ მათი მოსაზრებით მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების პასუხები ყოველთვის პოზიტიური იქნება, მოსახლეობის კი მათი პროგნოზით.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ეტაპზე, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ დაიწყო საჯარო სერვისების უკუკავშირის მექანიზმის შემუშავება. ისინი გეგმავენ მერიის ვებ-გვერდზე სპეციალური კითხვარის ჩაშენებას, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის გამოკითხვას ამა თუ იმ მომსახურების ხარისხის შესახებ. აღნიშნული პროექტი განხორციელების ეტაპზეა და მისი დანერგვა მიმდინარე წელს იგეგმება.

დასკვნა

ანგარიშში გაანალიზებულია შიდა ქართლში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამცხე-ჯავახეთში ახალგაზრდებზე ორიენტირებული მუნიციპალური მომსახურებები და მასთან დაკავშირებული გამოწვევები. დოკუმენტში ასევე შემოთავაზებულია მუნიციპალური სერვისების შეფასების და ზოგადად უკუკავშირის შესაძლო მექანიზმები. კვლევა ეყრდნობა სამიზნე რეგიონებზე არსებული ანგარიშების შესწავლას, აღნიშნულ რეგიონებში ახალგაზრდებთან ფოკუს-ჯგუფების, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების, მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგების ანალიზს.

კვლევის შედეგების თანახმად, სამივე რეგიონის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში საერთო პრობლემას წარმოადგენს საჯარო სერვისების შეფასების მექანიზმის არარსებობა და შშმ პირებზე მორგებული ინფრასტრუქტურის, თუ შესაბამისი სერვისების არაეფექტიანობა. სამიზნე რეგიონების შედარების თვალსაზრისით, ახალგაზრდებზე ორიენტირებული მომსახურებები თუ პროგრამები ყველაზე კარგად არის განვითარებული შიდა ქართლის რეგიონში, შემდეგ კი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში. რაც შეეხება ახალგაზრდების ადგილობრივ თვითმმართველობაში ჩართულობასა და მათ საჭიროებებზე ორიენტირებულ სერვისების სიმწირეს, ამ კუთხით ყველაზე მეტი გამოწვევა სამცხე-ჯავახეთის რეგიონშია. შიდა ქართლის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობა სხვადასხვა პროგრამებსა და სოციალურ პროექტებს აფინანსებს, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების ინიციატივების განხორციელებას, თუმცა აღნიშნულ არასაკმარისი ბიუჯეტი პრობლემად რჩება. აჭარის მუნიციპალიტეტებში არსებულ მდგომარეობას რაც შეეხება, გარკვეული პროგრამები არსებობს, თუმცა ისიც ქალაქებში და ახალგაზრდების მხოლოდ ნაწილის საჭიროებებზეა მორგებული. კერძოდ, აჭარაში ახალგაზრდული მომსახურებები, თუ პროგრამები ძირითადად სკოლის მოსწავლეებზეა გათვლილი და შედარებით უფროსების საჭიროებებზე ნაკლებადაა ორიენტირებული. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ეთნიკურად უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდული სერვისები ძირითადად კულტურული და სპორტული ღონისძიებებით შემოიფარგლება, რაც არ შეესაბამება ახალგაზრდების მოთხოვნებს. სამივე რეგიონისთვის საერთო გამოწვევას წარმოადგენს ასევე ის ფაქტორი, რომ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებსა და ახალგაზრდებს შორის მწირი კომუნიკაციის გამო მათი ხედვები ერთმანეთს არ ემთხვევა. ხშირად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ახალგაზრდების ნაცვლად იღებენ გადაწყვეტილებას და დამოუკიდებლად განსაზღვრავენ, თუ რა არის მათთვის მნიშვნელოვანი, რის გამოც არსებული სერვისები და პროგრამები არ ამართლებს და არ ზრდის ახალგაზრდების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის ხარისხს. სამივე რეგიონში ახალგაზრდების უმრავლესობა თავს აქტიურ მოქალაქედ მიიჩნევს, თუმცა სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა განსხვავდება შიდა ქართლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაცხოვრებლებისგან.

დასახელებული ბოლო ორი რეგიონის შემთხვევაში, ახალგაზრდების მხრიდან ხშირად ხდება საკითხების ინიცირება, ისინი აქტიურად ერთვებიან მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ პროგრამებში და სარგებლობენ მუნიციპალური სერვისებით, რომლებიც ახალგაზრდებზეა მორგებული. თუმცა, განსხვავებული სიტუაციაა სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში, სადაც მაშინაც კი, როდესაც მუნიციპალიტეტები ახალგაზრდების ინიციატივების მისაღებად მზაობას გამოთქვამენ, ახალგაზრდების მხრიდან არ არის დიდი აქტიურობა. ამას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ახალგაზრდების პასიურობით ხსნიან, ხოლო, ის თუ რამ განაპირობა მათი პასიურობა ამაზე პასუხი არ აქვთ. რეალურად კი, ახალგაზრდებს არ აქვთ შესაბამისი უნარ-ჩვევები, გამბედაობა და თავისუფლება, რომ თავიანთი იდეები თამამად წარუდგინონ ხელისუფლებას. შესაბამისად, აღნიშნულ რეგიონში ახალგაზრდების ცნობიერება უფრო საბაზისო საკითხებზეა ასამაღლებელი, ხოლო დანარჩენ ორ რეგიონში ახალგაზრდების იდეების განსახორციელებლად მეტი თავისუფლება უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

ახალგაზრდების თვითმმართველობაში ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით და სერვისების მათზე მეტად მორგებისთვის, მნიშვნელოვანია განვითარდეს უკუკავშირის მექანიზმი. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება მუნიციპალური სერვისების შეფასების მექანიზმის შექმნას, რაც კვლევის ფარგლებში ახალგაზრდების მიერ განხილვის საკითხს წარმოადგენდა. კერძოდ, ადგილობრივების მოსაზრებით, მნიშვნელოვანია პერიოდულად ჩატარდეს მუნიციპალური საჭიროებების კვლევა და მოსახლეობის ახალ სერვისებზე ინფორმირება. საჭიროებების კვლევისა, თუ სერვისებით მოსახლეობის კმაყოფილების დონის შესამოწმებლად ადგილობრივმა ახალგაზრდებმა ყველაზე მარტივ და ხელმისაწვდომ ფორმად სატელეფონო და სმს გამოკითხვები დაასახელეს. მეორე, უფრო ეფექტურ და ახალგაზრდებზე მორგებულ ინსტრუმენტად, მათ ვებ-გვერდის, სოციალური ქსელის თუ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ღია, ან ანონიმური სერვისების შეფასების სისტემა დაასახელეს, რაც მუნიციპალიტეტების ბაზაზე შეიქმნება. მესამე, ყველაზე ღია და ინკლუზიურ ფორმად კი, ახალგაზრდებმა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებსა და ახალგაზრდებს შორის პირისპირ უკუკავშირის გაზიარება დაასახელეს, რაც მათი გადმოსახედიდან არა მხოლოდ სერვისების გაუმჯობესებას, არამედ მოქალაქეთა დემოკრატიულ პროცესებში ჩართულობის გაზრდასაც შეუწყობს ხელს. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში უკუკავშირის მექანიზმების შემუშავება ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იქნება ახალგაზრდებზე ორიენტირებული სერვისების შესამუშავებლად, მათ დასახვეწად და სამიზნე რეგიონებში მეტი ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად.

გამოყენებული ლიტერატურა

აშშ-ის საელჩო საქართველოში. 2024. ამერიკული სივრცეები. ხელმისაწვდომია: https://ge.usembassy.gov/ka/education/american-spaces-ka/#corners. ბოლოჯერ ნანახია: 15.02.2024.

გორის მუნიციპალიტეტის მერია. 2023. განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განხორციელებული და მიმდინარე ახალგაზრდული პროექტების ნუსხა ხელმისაწვდომია: https://docs.google.com/document/d/1qj0obTU-RZN2LNLfdOVW8Sy6uvhI1sdqe/edit#heading=h.gjdgxs. ბოლოჯერ ნანახია 17.01.2024.

ეისითი. 2021. ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევა მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე - ადიგენის მუნიციპალიტეტი და სამცხე-ჯავახეთის რეგიონი. ხელმისაწვდომია: https://youthplatform.gov.ge/storage/research_files/1.3.%20Research%20on%20Youth%20Rights, %20Needs,%20Challenges%20and%20Interests%20on%20the%20Local%20Level_Samtskhe-Javakheti.pdf ბოლოჯერ ნანახია: 29.01.2024.

კუკავა, მ. 2022. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ორიენტირებული ადგილობრივი ბიუჯეტირება, გზამკვლევი. ხელმისაწვდომია: https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/2022-12/local-budgeting-for-disability-inclusion-geo.pdf

მენაბდე, ვ. და საღირაძე, ს. 2021. მუნიციპალური მომსახურების ხელმისაწვდომობა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ხელმისაწვდომია: gyla.ge/files/news/ფონდი/2021/ნიუსლეთერები/GetFileAttachment-9.pdf ბოლოჯერ ნანახია: 20.02.2024.

საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტო. 2023. ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ და დემოკრატიულ პროცესებში. ხელმისაწვდომია: https://youthagency.gov.ge/portfolio/%e1%83%b0%e1%83%9d%e1%83%91%e1%83%98-%e1%83%92%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%97%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91%e1%83%90/ ბოლოჯერ ნანახია: 20.02.2024.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 2023. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=72 ბოლოჯერ ნანახია: 20.02.2024.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 2023. გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №43 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5692659?publication=0 ბოლოჯერ ნანახია: 20.02.2024.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 2023. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5983027?publication=0 ბოლოჯერ ნანახია: 20.02.2024.

საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტო. ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის პოლიტიკა. 2022. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/municipal-youth-policy-development-programme-georgia/16809eff5f ბოლოჯერ ნანახია: 20.02.2024.

საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტო. 2021. ახალგაზრდული ორგანიზაციების მდგომარეობა საქართველოში. ხელმისაწვდომია: https://pjp-eu.coe.int/documents/42128013/106166868/Georgia+2021+Research+Youth+organisations.pdf/4f993c35-959e-c391-f205-e32ccb413afe?t=1631545740000 ბოლოჯერ ნანახია: 20.02.2024.

ჭეიშვილი, რ. & გოგოლაძე, ნ. 2020. ახალგაზრდობის ინდექსი. UNFPA. ხელმისაწვდომია: https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/youth_index_geo_2021_pdf.pdf ბოლოჯერ ნანახია: 27.01.2024.

FES - ფრიდრიხ ებერტის ფონდი. 2021. ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე. ხელმისაწვდომია: https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/18399.pdf ბოლოჯერ ნანახია: 29.01.2024

Open Governance Partnership. Mainstreaming the needs of Persons with Disabilities (PWDs) in urban development policies and projects (GEKHN0002). ხელმისაწვდომია: https://www.opengovpartnership.org/members/khoni-georgia/commitments/GEKHN0002/ ბოლოჯერ ნანახია: 20.02.2024.

UNDP. 2024. ახალი საგანმანათლებლო შესაძლებლობები ახალგაზრდებისთვის. ხელმისაწვდომია: https://www.undp.org/georgia/press-releases/lifelong-educatio ბოლოჯერ ნანახია: 20.02.2024.n

UNAG. 2021. Youth in Georgia Needs Action. ხელმისაწვდომია: https://www.una.ge/archive?id=761 ბოლოჯერ ნანახია: 20.02.2024.

UNDP. 2022. საზოგადოებრივი მომსახურებებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების კვლევა. ხელმისაწვდომია: https://www.undp.org/ka/georgia/publications/citizen-satisfaction-survey ბოლოჯერ ნანახია: 20.02.2024.

USAID. 2021. მუნიციპალური სერვისების შექმნისა და მიწოდების პროცესის შეფასება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში სამი სერვისის მაგალითზე. ხელმისაწვდომია: https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00Z3HS.pdf ბოლოჯერ ნანახია: 20.02.2024.

დანართი 1

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების ჩამონათვალი

1. ახალქალაქი, მუნიციპალიტეტი, პირადი კომუნიკაცია, 27 ივლისი, 2023.
2. ახალქალაქი, არასამთავრობო სექტორი 1, პირადი კომუნიკაცია, 27 ივლისი, 2023.
3. ახალქალაქი, არასამთავრობო სექტორი 2, პირადი კომუნიკაცია, 27 ივლისი, 2023.
4. ახალქალაქი, მედია, პირადი კომუნიკაცია, 27 ივლისი, 2023.
5. ბათუმი, მედია, პირადი კომუნიკაცია, 6 ივლისი, 2023.
6. ხულო, მუნიციპალიტეტი, პირადი კომუნიკაცია, 7 ივლისი, 2023
7. ბათუმი, არასამათვრობო სექტორი, პირადი კომუნიკაცია, 8 ივლისი, 2023
8. გორი, მუნიციპალიტეტი, პირადი კომუნიკაცია, 6 ივლისი, 2023.
9. გორი, არასამთავრობო სექტორი, პირადი კომუნიკაცია, 8 ივლისი, 2023.
10. გორი, მედია, პირადი კომუნიკაცია, 15 ივლისი, 2023.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ჩამონათვალი

1. ახალქალაქი, ახალგაზრდები, 17 მონაწილე, 27 ივლისი, 2023.
2. ბათუმი, ახალგაზრდები , 10 მონაწილე, 3 ივლისი, 2023.
3. გორი, ახალგაზრდები, 8 მონაწილე, 6 ივლისი, 2023.
4. გორი, ახალგაზრდები, 3 მონაწილე, 11 ივლისი, 2023.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)

საქართველო, თბილისი 0107,
ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 13
+995 599 99 02 12
info@gip.ge www.gip.ge